

# ANNUAL REPORT

2022



## შინაარსი

შესავალი.....	2
ბაზისბანკის შესახებ .....	2
ჯგუფის სტრუქტურა .....	5
მმართველობა .....	10
ბანკის მმართველობითი სტრუქტურა.....	10
სამეთვალყურეო საბჭო .....	11
დირექტორთა საბჭო .....	18
რისკების მართვა და სტრატეგია .....	21
საზედამხედველო მოთხოვნები ბაზელი 3-ის მიხედვით .....	39
საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები .....	39
ანაზღაურების პოლიტიკა .....	47

## შესავალი

ა სს ბაზისბანკის პილარ 3-ის ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის 22 მაისის #92/04 ბრძანების „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესით“ განსაზღვრული მოთხოვნებისა და ასევე, ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის პილარ 3-ის გამჭვირვალობის მოთხოვნებისა და ევროკავშირის N 575/2013 დირექტივით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

### მენეჯმენტის განცხადება

ბანკის დირექტორატი ადასტურებს სს ბაზისბანკის 2022 წლის პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემის და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ბაზისბანკის პილარ 3-ის 2022 წლის წლიური ანგარიში დაამტკიცებულია აუდიტის კომიტეტის სხდომაზე 2023 წლის 11 მაისს.

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ანგარიშგებაში გამჟღავნებული ყველა ინფორმაცია წარმოდგენილია სებ-ის მიერ დადგენილი ადგილობრივი ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით. არსებული რეგულაცია არ ითხოვს პილარ 3-ის ფარგლებში გამჟღავნებული ინფორმაციის აუდიტს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით.

## ბაზისბანკის შესახებ



საქართველოს დედაქალაქში – თბილისში დაარსებული სს „ბაზისბანკის“ (“BB”) ისტორია იწყება 90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ადამიანთა მცირე ჯგუფმა გადაწყვიტა შესულიყო საქართველოში ახლად წარმოქმნილ ფინანსურ სექტორში და დააარსა ბანკი მოკრძალებული კაპიტალით. ბიზნეს ინიციატივამ, რომელიც თავდაპირველად გულისხმობდა დამფუძნებელთა ჯგუფის და მასთან დაკავშირებული მეგობრებისა და პარტნიორების ბიზნესის მხარდაჭერას, ძლიერი და მყარი ფინანსური ინსტიტუტის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი.

2008 წელს EBRD-მა ბაზისბანკის აქციების 15% შეიძინა, რამაც ბიძგი მისცა ხელახალი ორგანიზაციული მოდელირების პროცესებს უფრო მოქნილი და ეფექტური სტრუქტურის მისაღებად. ასევე დაინერგა ახალი ხედვა და მიზანი: მოხდა ძლიერი იმიჯის შექმნა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ადაპტაცია. მენეჯმენტისა და რიგითი თანამშრომლების უზარმაზარი ძალისხმევა ამო არ ყოფილა - მალე ჩვენი ორგანიზაციის შესახებ ცნობადობა გაიზარდა და კომპანიამ ფინანსურ ბაზარზე საპატიო პოზიციის დაკავება მოახერხა.

2012 წელს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ინვესტორმა - ჰუალინგ ჯგუფმა ბაზისბანკის აქციების 90% შეიძინა. ჰუალინგ ჯგუფმა ბაზისბანკი 2012 წლის დეკემბერში შეიძინა: მისი კაპიტალის ინექცია 45 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით 2013 წელს ბანკისთვის სოლიდური შესაძლებლობების შექმნას ნიშნავდა, რაც მნიშვნელოვანი ზრდის შენარჩუნების საწინდარი იყო.

ბაზარზე ჰუალინგ ჯგუფის შესვლის შემდეგ ბაზისბანკის პროგრესი ხელშესახები იყო - მთავარი ამოცანა იყო სწრაფი ზრდის უზრუნველყოფა, ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობის და დაბეგვრამდე მაღალი მოგების ისტორიის შენარჩუნება. ამ მიზნების მიღწევა ბანკს რისკების ფრთხილი მართვის პრაქტიკით და განვითარების გრძელვადიანი გზის შენარჩუნებით უნდა შეძლებოდა.



## Basisbank Pillar 3 Annual Report / 2022

2017 წელს ბანკმა ფუნდამენტური ტრანსფორმაცია დაიწყო და ბიზნესის პერიმეტრი იმ სფეროებით გააფართოვა, რომლებსაც ჩვეულებრივი საბანკო ბიზნესი არ ფარავდა. ბიზნეს შესაძლებლობების სრულად ათვისებისა და მომგებიან ბაზარზე კონკურენციის მიზნით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება სადაზღვევო და სალიზინგო ბაზრის საშუალებით გაფართოების შესახებ. ბანკი, როგორც ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც ეკონომიკის ძირითად სექტორებს ხელმისაწვდომი და პასუხისმგებელი ფინანსური რესურსებითა და სერვისებით უზრუნველყოფს, მოწოდებულია იყოს ძლიერი ფინანსური ჯგუფი, რომელიც მოიცავს საბანკო საქმეს, დაზღვევას და ლიზინგს. მისი მიზანია მნიშვნელოვანი წილის მოპოვება ფინანსური სერვისების ყველა სფეროში, რომელიც კარგად არის ჩამოყალიბებული მის მიზნებში, და მხარს მომხმარებელთა ძლიერი ბაზა და ჯანსაღი სააქციო სტრუქტურა უჭერს.

ბანკმა მოახერხა თავისი რესურსების დადასტურებული სტაბილურობის, ძლიერი ფინანსური მდგომარეობის, ფართო აღიარების, კარგი მუშაობისა და მდგრადი განვითარების გზაზე თავისი ახალი იდენტობის საუკეთესო შემადგენლობით - ბაზისბანკის ჯგუფის სახით წარმოჩენილიყო.

2022 წელს ორგანული ზრდა წარმატებით განვითარდა ვითიბი ბანკის პორტფელების - 787 მლნ ლარის სასესო პორტფელის და 665 მლნ ლარის სადეპოზიტო პორტფელის შექენით. შედეგად, ბაზისბანკი ბაზარზე #4 ბანკი გახდა, მთლიანი აქტივები, საკრედიტო პორტფელი და მომხმარებელთა ბაზა 130 ათასზე მეტი ახალი კლიენტითა და 24 ახალი ლოკაციით გაზარდა.

### Results Delivered



### Key Drivers

#### Implementing Strategy

- Increased Client coverage
- Business diversification

#### Capital Instruments

- GEL 27mIn injected by shareholder
- EFSE Sub loan drawn amounting to €15mIn
- \$10mIn Sub Bond issued


#### Acquisition Portfolio of VTB Bank Georgia

- Loan Portfolio 787mIn
- Deposit Portfolio 665mIn

2022 წლის ბოლოსთვის 15 ქართულ ბანკს შორის ბაზისბანკი მე-4 ადგილზეა 3.2 მილიარდი ლარის აქტივებით, 454 მილიონი ლარის კაპიტალით, მოგებით, რომელმაც გადასახადების შემდეგ 74 მილიონ ლარს მიაღწია.

BB-მა სააგენტო FITCH-ის რეიტინგი მიიღო: 2023 წლის 10 მაისს, Fitch Ratings-მა სს ბაზისბანკის გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგის (IDR) პერსპექტივა სტაბილურიდან პოზიტიურით შეცვალა და IDR „B+“-ზე დაადასტურა. სიცოცხლისუნარიანობის რეიტინგი (VR) 'b+'-ზე დაადასტურა.

## Strategic Priorities reaffirmed



## Core Competences to enable Strategy



## BB in 3 Years

- ✓ #3 Bank by Assets, #3 Bank by Profitability
- ✓ #1 Non-systemic Bank
- ✓ Financial Supermarket - Single window concept for Banking, Insurance and Leasing online services
- ✓ Top of mind Bank, among top 3 Banks by Customer Experience
- ✓ Data Driven Digitalized Financial Services Provider
- ✓ ROE over 15%
- ✓ Market Share 10%
- ✓ Strong focus on ESG

- 
- Client centric business model
  - Long-term operating focus
  - Profound data analytics
  - Holistic risk management approach
  - Multi-channel distribution platform
  - Focus on Green and Sustainable Incentives
  - Investing in Team Professional Development

## ჯგუფის სტრუქტურა

სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკი" დაფუძნებულია 1993 წლის 16 აგვისტოს, რეგისტრირებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1993 წლის 04 ნოემბერს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ბანკი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფლობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ ლიცენზიას საბანკო საქმიანობაზე (1993 წლის 4 ნოემბერი, ლიცენზიის #173. ბანკის იურიდიული მისამართია: 0103 საქართველო, თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #1).

ბანკი არის უნივერსალური საბანკო დაწესებულება, რომლის საქმიანობის საგანს წარმოადგენს საბანკო და მასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### ბანკის აქციონერები

ბაზისბანკის არის ჩინური კონგლომერატის - ჰუალინგ ჯგუფის წევრი. ჰუალინგი ჩინური კერძო საწარმოების ჯგუფია, რომელიც ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში დივერსიფიცირებულ ბიზნესს ფლობს. სინძიანგ ჰუალინგ ინდასტრი ენდ თრეიდ გრუფ („ჰუალინგ ჯგუფი“) 2012 წლიდან ბაზისბანკის მფლობელია.

ჰუალინგის, როგორც ბანკის მთავარი აქციონერის და საკონტროლო წილის - 90%-ზე მეტის მფლობელის მიზანია ბაზისბანკის ჯგუფის ქოლგის ქვეშ განავითაროს მძლავრი ფინანსური ინსტიტუტი, რომლის მთავარი ფოკუსი ბიზნეს ფრანჩიზის ინტეგრირებული ზრდა და ბაზარზე ინტენსიური გაფართოებაა.

ჰუალინგ ჯგუფი ჩინური კერძო საწარმოთა ჯგუფია, რომელიც 1988 წელს სინძიანგის რეგიონში, ურუმჩიში მი ენხვამ დააარსა. ჯგუფის ტრადიციული ბიზნესი საქონლის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ბაზრების განვითარება და მართვაა. მისი ახალი სტრატეგიული ბიზნესხაზი აგრობიზნესია. ჰუალინგ ჯგუფს 40 შვილობილი კომპანია 80 აფილირებული კომპანია აქვს, მსოფლიოში 5000-ზე მეტი ადამიანი ჰყავს დასაქმებული, ჩინეთის სინძიანგის რეგიონში კი 3000-ზე მეტი.

2007 წელს ჰუალინგმა საქართველოში საინვესტიციო პროექტების განხორციელება დაიწყო. ამჟამად ჰუალინგ ჯგუფი საქართველოში ყველაზე მსხვილი კერძო საინვესტიციო ჯგუფია, რომელსაც 600 მილიონ დოლარზე მეტი მთლიანი კაპიტალი აქვს ინვესტირებული.

ჰუალინგ ჯგუფის ხედვაა აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში საქმიანობის გაფართოება, განვითარება „აბრეშუმის გზის“ პროექტის ინიციატივის კვალდაკვალ, საქართველოს, როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სავაჭრო ცენტრის ისტორიული როლის აღორძინება და საბოლოოდ ჰუალინგ ჯგუფის ორ რეგიონს შორის ხილად გადაქცევა.

ჯგუფის დამფუძნებელი და მფლობელი მი ენხვა, ცნობილი ჩინელი ბიზნესმენია, რომელსაც ბიზნეს-სექტორში მოღვაწეობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას არაერთი ჯილდო აქვს მიღებული ჩინეთის ეკონომის განვითარებაში შეტანილი წვლილის და საქველმოქმედო საქმიანობისთვის.

აქციონერები	წილი პროცენტულად 31 დეკ მდგ	
	2022	2021
შპს სინძიანგ ჰუალინგ ინდასთრი & თრეიდ (ჯგუფი)		
Co	92.770%	92.305%
მი ზაიქი	6.547%	6.969%
სხვა მცირე აქციონერები*	0.682%	0.726%

\*სხვა მცირე წილის მფლობელები არიან ფიზიკური პირები, მათ შორის დირექტორატის წევრები, რომელთა ანაზღაურების ნაწილი კონვერტირდება ბანკის აქციებში.

ადგილობრივი სტანდარტის მიხედვით წილების ფლობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მინიჭებული აქციების შესახებ ინფორმაციასაც, მოცემულია დანართში PG1-BBS-QQ-20211231/ ცხრილი 6.

**ბანკის შვილობილი კომპანიები**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზისბანკის ქოლგის ქვეშ სამი შვილობილი კომპანია ერთიანდება: სს BB დაზღვევა, სს BB ლიზინგი და შპს ბაზის ესეტ მენეჯმენტი - ჰოლდინგი.

ათასი ლარი		2022	2021
სახელწოდება	საქმიანობა	ინვესტიცია	ინვესტიცია
შპს BAM ჰოლდინგი	აქტივების მართვა	3,797	3,797
სს BB დაზღვევა	დაზღვევა	6,000	6,000
სს BB ლიზინგი	ლიზინგი	11,000	11,000
<b>მთლიანი ინვესტიცია</b>			
<b>კაპიტალში</b>		<b>20,797</b>	<b>20,797</b>

**B დაზღვევა INSURANCE**

**BB დაზღვევა** - BB დაზღვევა 2017 წელს დაარსდა და ბაზისბანკის ჯგუფის სწრაფად მზარდ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. ის ჯგუფის და ბანკის მთავარი სადაზღვევო პარტნიორია. BB დაზღვევა როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს ემსახურება და მათ სადაზღვევო პროდუქტების მრავალფეროვნებას სთავაზობს. მათ შორისაა ავტოდაზღვევა, ქონების, სიცოცხლის, მოგზაურობის დაზღვევა და კორპორაციული პაკეტები. ჰუალინგ დაზღვევის მომსახურება ხელმისაწვდომია ყველა იმ ქალაქსა და რეგიონში, რომლებშიც ბაზისბანკის ჯგუფი ფილიალებითაა წარმოდგენილი.

**კომპანიის მმართველობითი ორგანო**

- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ზაიქი მი
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - დავით ცაავა
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ხვეი ლი
- სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - ზაზა რობაქიძე (აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე)

**დირექტორთა საბჭო**

- გენერალური დირექტორი - კონსტანტინე სულამანიძე
- გენერალური დირექტორის მოადგილე - ლევან პიტიურიშვილი (საოპერაციო დირექტორი)
- გენერალური დირექტორის მოადგილე - შოთა სვანაძე (რისკების დირექტორი)
- გენერალური დირექტორის მოადგილე - ვანო ბაგოშვილი (ფინანსების დირექტორი)

BB Insurance მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან პროდუქტს როგორც საცალო, ისე კორპორატიულ სეგმენტში. ჩვენ ვთავაზობთ ავტომობილის, ქონების, საკრედიტო სიცოცხლისა და სხვადასხვა სახის კორპორატიული დაზღვევის პაკეტებს, როგორცაა: ტვირთის, ბიზნესის შეწყვეტის, ზოგადი მესამე მხარის პასუხისმგებლობის დაზღვევა, Bankers Blanket Bond და საავიაციო ბიზნესთან დაკავშირებული რისკის დაზღვევა.

BB Insurance ორიენტირებულია ციფრულ გაყიდვებზე, ზარალების გადახდის სწრაფ და მარტივ პროცესებზე, მაღალი რეპუტაციის მქონე გამომწვევებზე, მოქნილ და მარტივ პროდუქტებზე, ძლიერ ფინანსურ მდგომარეობასა და სოლიდურ პროფესიონალ პერსონალზე. ეს უპირატესობები კომპანიას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს და გაზარდოს მოქნილობა და ხელმისაწვდომი იყოს კლიენტებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით, მარტივი მმართველობითი სტრუქტურით და გადაწყვეტილების მიღების ეფექტური პროცესით. BB დაზღვევა კლიენტებს მომსახურებას ბაზისბანკის ჯგუფის ფილიალების მეშვეობით უწევს, რაც ქვეყნის ყველა ქალაქსა და რეგიონში ხელმისაწვდომი.



კომპანია აქტიურად აგრძელებს თავისი ოპერაციების დიგიტალიზაციას, განსაკუთრებული აქცენტით დისტანციური სერვისების განვითარებაზე, რაც საშუალებას აძლევს კლიენტებს ანაზღაურება უფრო მოქნილი და დროულად ეფექტური გზით მოითხოვონ.

კომპანიამ 2022 წელი 2.36 მლნ ლარის წმინდა მოგებით დაასრულა (2021: 1.37 მლნ ლარი, +72% წლიური ზრდა) აქტივებმა კი 29.3 მლნ ლარს მიაღწია, რაც +20% წლიური ზრდას წარმოადგენდა (2021: +40% წ. ზრდა) სადაზღვევო კონტრაქტებით GWP წლიურად 28%-ზე მეტით გაიზარდა (2021: +80% წლიური ზრდა). BB დაზღვევამ წელი საკმაოდ კარგი შედეგებით დახურა. შემოსავალმა მაღალი მომგებიანობის მაჩვენებლები უზრუნველყო: 2022 წლის ბოლოს ROE 17.98%, ხოლო ROA 8.81% შეადგენდა.



BB ლიზინგი ბაზისბანკის ჯგუფის წევრია. BB ლიზინგი სწრაფ ზრდაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს გახდეს სტაბილური ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც თავის კლიენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან გრძელვადიან პარტნიორობას აყალიბებს, რათა მიაღწიოს მთავარ მიზანს - იყოს კარგი ფინანსური მდგომარეობისა და კლიენტების პროგრესული გამოცდილების მქონე ქართული სალიზინგო ბაზრის ლიდერი და ნოვატორი. სტრატეგიის ცენტრალურ ფოკუსად კომპანია კლიენტს ირჩევს. მომხმარებელთა საჭიროებების იდენტიფიცირება და მათთვის ახალი შესაძლებლობების შექმნა კომპანიის მთავარი აქცენტი და ბიზნეს კონცეფციაა.

კომპანიის მმართველობითი ორგანო

- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ზაიქი მი
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - დავით ცაავა
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ხვეი ლი

The Management Board

- დირექტორთა საბჭო:
- გენერალური დირექტორი - კონსტანტინე სულამანიძე
- გენერალური დირექტორის მოადგილე - ლია ასლანიკაშვილი
- გენერალური დირექტორის მოადგილე - მალხაზ ხარჩილავა

BB ლიზინგი ყოველისმომცველ სალიზინგო პროდუქტებს და საკონსულტაციო მომსახურებას სთავაზობს თავის კლიენტ ფიზიკური პირებს და კომპანიებს, რომლებიც მუშაობენ ისეთ სექტორებში, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა. წარმოება, მინერალური რესურსები, ვაჭრობა, სამედიცინო მოწყობილობა, ტრანსპორტი და კომუნიკაცია.

BB ლიზინგის ძირითადი აქცენტი და სტრატეგიული სემენტი მცირე და საშუალო ბიზნესია, ხოლო მისი განვითარების გასაღები მდგომარეობს დისტანციურ სერვისებში და ყოველისმომცველი შეთავაზების საშუალებით სერვისის მიწოდების არხების გაუმჯობესებაში. კლიენტს მიეწოდება ხარისხიანი პროდუქტები და სერვისები, რასაც თან ერთვის გაფართოებული მაღალ დონეზე ავტომატიზირებული საკონსულტაციო შესაძლებლობები და პროცესები.

კომპანიის აქტივებმა 22.5 მლნ ლარს მიაღწია და წლის განმავლობაში 45%-ით გაიზარდა, დაფიქსირდა თითქმის ორმაგი ზრდა: სალიზინგო პორტფელი 96%-ით 17.7 მლნ ლარამდე გაიზარდა. 2021 წლის შედეგებთან შედარებით წლის განმავლობაში მიღებულმა მოგებამ წლიური ზრდის 45%-ს მიაღწია, ROE-მ 12.6% შეადგინა, ROA-მ 9%.

შპს "ბაზის ესეტ მენეჯმენტი-ჰოლდინგი" - დაარსდა 2012 წელს და ბანკის ქონების მართვის სფეროში მოღვაწე შვილობილი კომპანიაა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უძრავი და მოძრავი ქონების მართვასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება, ქონების ფლობა, ლიზინგით გაცემა.

ჯგუფი გააგრძელებს თავისი აქტივების ეფექტურად გამოყენებას, რათა გააძლიეროს საკუთარი ბრენდის იდენტობა, - ფინანსური მომსახურება ერთი ფანჯრის პრინციპით და კიდევ უფრო ინოვაციური განდეს მომსახურების შეთავაზებაში.

2022 წლის განმავლობაში BB ჯგუფის სამივე ფრთა განაგრძობდა მომსახურების გაწევას მჭიდრო კოორდინაციით, კლიენტებისთვის ერთი ფანჯრის პრინციპით ერთ სივრცეში ფინანსური მომსახურების შეთავაზებას ორივე პლატფორმაზე (როგორც ტრადიციული, ისე ციფრული). მარტივი, გამჭვირვალე და მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომა ჩვენი ჯგუფის წარმატების მთავარ ფაქტორად რჩება.

## მმართველობა

### ბანკის მმართველობითი სტრუქტურა

კარგ კორპორაციულ მმართველობას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის სწორი ფუნქციონირებისთვის, ხოლო კარგად მართული კომპანია ნებისმიერი წარმატებული ბიზნესის ქვაკუთხეა, განსაკუთრებით განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბანკში, ისევე, როგორც მთლიანად ინდუსტრიაში, კარგი კორპორაციული მმართველობის პრინციპების დანერგვისას უნდა ვიცავდეთ ისეთ პრინციპებს, როგორებიცაა გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა და სამართლიანობა.


კარგი კორპორაციული მმართველობის დამკვიდრების მიზნით, ბაზისბანკი იცავს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ შემუშავებულ კორპორაციული მართვის კოდექსს კომერციული ბანკებისათვის. დამატებით, ბანკი ხელმძღვანელობს ბაზელის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ბანკების კორპორაციული მართვის პრინციპებით, აგრეთვე კარგი კორპორაციული მართვის სხვა სტანდარტებითა და სახელმძღვანელო მითითებებით.

ზემოთ მოყვანილი რეგულაციების პრინციპების შესაბამისად, ბანკმა ჩამოაყალიბა კორპორაციული მმართველობის სტრუქტურა, რომელიც შეესაბამება ბანკისა და ჯგუფის ზომას, კომპლექსურობას, სტრუქტურას, ეკონომიკურ მნიშვნელობას, რისკის პროფილს და ბიზნეს-მოდელს.

#### ბანკის მმართველობითი ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება
- სამეთვალყურეო საბჭო და საბჭოს დონის კომიტეტები
  - დირექტორთა საბჭო და დირექტორთა საბჭოს დონის კომიტეტები

#### ბანკის მმართველობითი სტრუქტურა



### აქციონერთა საერთო კრება

აქციონერი თავის უფლებებსა და მოვალეობებს საერთო კრების მეშვეობით ახორციელებს. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოს, მასში მონაწილეობის გზით აქციონერი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით განსაზღვრულ უფლებებს. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე: ამტკიცებს ბანკის წესდებს, იღებს გადაწყვეტილებას აქციების გამოშვების შესახებ, მოგების განაწილების და გამოყენების შესახებ, ბანკის კაპიტალში ცვლილებების შესახებ და საბჭოს წევრების დანიშვნისა და/ან გათავისუფლების შესახებ.

აქციონერთა საერთო კრება იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს

- წესდებაში ცვლილებებისა შეტანის შესახებ;
- ბანკის აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გატანის შესახებ;
- ბანკის აქციებისა და სხვა საკუთარი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის წესების შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის და საბჭოს ბიუჯეტის დამტკიცების (მათ შორის საბჭოს კომიტეტ(ებ)ის) შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს დებულების დამტკიცების / მასში ცვლილებების შეტანის შესახებ
- ბანკის წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ;
- ბანკის კაპიტალის ზრდის/შემცირების შესახებ;

აქციონერთა საერთო კრებაზე ერთი ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ერთი ხმის უფლებას ანიჭებს. აქციონერთა მორიგი საერთო კრების სხდომა ტარდება წელიწადში ერთხელ გასული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის მომზადებიდან არაუგვიანეს ორი თვის განმავლობაში, რომელიც თავის მხრივ უნდა მომზადდეს წლის დასრულებიდან ოთხი თვის განმავლობაში. აქციონერთა საერთო კრების რიგგარეშე სხდომა მოიწვევა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, დირექტორატის ან აქციათა მინიმუმ 5 %-ის მფლობელი აქციონერის მოთხოვნით.

### სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო (საბჭო) ჯგუფის საქმიანობის ზედამხედველი ორგანოა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს საბჭოს სხდომისა და საბჭოს დონის კომიტეტების მეშვეობით. საბჭო ნიშნავს დირექტორატის წევრებს და მჭიდროდ თანამშრომლობს დირექტორატთან, ზედამხედველობს და კონსულტაციას უწევს მნიშვნელოვან საკითხებზე და უშუალოდ მონაწილეობს ფუძემდებლური გადაწყვეტილებების მიღებაში.

სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქციებია ბაზისბანკის ჯგუფის საქმიანობის ზედამხედველობა, კორპორაციული მმართველობა და რისკების მართვა. ამ ფუნქციების ფარგლებში, საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ჯგუფის ღირებულებების ჩამოყალიბების შესახებ, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე და ზოგადად, იმის უზრუნველყოფაზე, რომ ჯგუფი იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენციის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების დაცვით; ადგენს ჯგუფის სტრატეგიას და ზედამხედველობას უწევს მენეჯმენტის მიერ ბანკის სტრატეგიული მიზნების შესრულებას; უზრუნველყოფს ჯგუფის ყველა მარეგულირებელ და სამეთვალყურეო მოთხოვნასთან შესაბამისობას; ადგენს კომპანიის რისკის მადას დირექტორთა საბჭოსთან და CRO-სთან (გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის საკითხებში) კოორდინაციით; საბჭო აგრეთვე აკონტროლებს დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და აფასებს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს კონტროლის ფუნქციების დამოუკიდებლობასა და ეფექტურობას და ახორციელებს დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასებას მისი გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად. საბჭო ვალდებულია გააკონტროლოს ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და უზრუნველყოს ჯგუფში ეფექტური პროცედურების და პოლიტიკის არსებობა კანონისა და მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო, ფინანსურ რისკებთან ერთად, აფასებს არაფინანსურ რისკებს, რაც მათ შორის, მოიცავს კლიმატის ცვლილების რისკების ზეგავლენას ბანკის საქმიანობაზე. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების სრულად ინტეგრირებას ბანკის რისკების მართვის ჩარჩოში.

საბჭო იცავს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსით“, ეთიკის კოდექსით და პროფესიული ქცევის სტანდარტებით და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და პრინციპებს.

საბჭოს სხდომები ემყარება ღია დიალოგის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და წევრებს აქვთ შესაძლებლობა სრულად ჩაერთონ სამუშაო პროცესში. გადაწყვეტილებები მიიღება გამჭვირვალედ, ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობს დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარდა ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ ბანკის რეგულაციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საბჭოს გადაწყვეტილებები და მასთან დაკავშირებული მასალა მუდმივად გადაეცემა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

### საბჭოს კომპეტენცია

- განახორციელოს ბანკის სტრატეგიული განვითარების, საბანკო საქმიანობის, რისკების მართვის ძირითადი განმსაზღვრელი პრინციპები და ზედამხედველობა გაუწიოს მათ აღსრულებას;
- დაამტკიცოს და პერიოდულად განაახლოს იმგვარი დოკუმენტები, როგორცაა ბანკის შინაგანაწესი, ბანკის მართვისა და საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი პოლიტიკები;
- დაამტკიცოს სტრატეგიული განვითარების გეგმა, განიხილოს და დაამტკიცოს დირექტორატის მიერ წარმოდგენილი ბანკის საქმიანობის წლიური გეგმა, წლიური ბიუჯეტი, აკონტროლოს მათი შესრულება, განიხილოს დირექტორატის მიერ წარმოდგენილი პერიოდული ფინანსური ანგარიშები;
- დაამტკიცოს ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- აქციონერთა საერთო კრების თანხმობის შემთხვევაში დანიშნოს გენერალური დირექტორი, დირექტორატის სხვა წევრები, განსაზღვროს დირექტორატის წევრების ფიქსირებულ და ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები;
- უზრუნველყოს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების სათანადო ასახვა ბანკის სტრატეგიაში და მონიტორინგი გაუწიონ მათ ეფექტიან განხორციელებას.
- დაამტკიცოს ინტერესთა კონფლიქტის მართვის პრინციპების განმსაზღვრელი პოლიტიკა, აკონტროლოს პოტენციური რისკის შემცველი ტრანზაქციები და პოლიტიკით დადგინდეს ლიმიტებს ზემოთ, განიხილოს ბანკთან დაკავშირებულ პირებთან დაგეგმილი გარიგებები;
- დანიშნოს ბანკის გარე აუდიტორი და მოითხოვოს მათგან უშუალო ანგარიშგება;
- მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება
- შეითავსოს ის ფუნქციები, რომელთა შესრულებაც ევალება ანაზღაურების, კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტებს, არსებობის შემთხვევაში.
- საბჭოს დონის კომიტეტებზე დელეგირებული ფუნქციების მეშვეობით, განახორციელოს შიდა კონტროლი და რისკების მართვის ზედამხედველობა
- განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

### საბჭოს შემადგენლობა და სტრუქტურა

სამეთვალყურეო შედგება 6 წევრისაგან, ორი მათგანი დამოუკიდებელი წევრია. საბჭოს ყველა წევრი აირჩევა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებით. საბჭოს წევრებს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება.

საბჭოს შემადგენლობა ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების შესაბამისი ნაზავია, რომელიც შეესაბამება ბანკის სტრატეგიას. სქესის, ასაკის, ეროვნების და ფუნქციურობის მრავალფეროვნება უზრუნველყოფს განსხვავებულ შეხედულებებს განხილვის პროცესში, სხვადასხვა პერსპექტივიდან შეფასების პროცესში და აუმჯობესებს საბჭოს მუშაობას. სწორედ სათანადოდ დაბალანსებული საბჭოს აქვს მისია უზრუნველყოს, რომ ძირითადი საკითხები სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილება და მიიღება სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ბანკის ოპერაციებისთვის.

საბჭოს არჩევა ხდება 4 წლის ვადით, ამასთან, უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე. საბჭოს წევრების განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. საბჭოს წევრის ვადამდე გამოწვევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს.

სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც საბჭო ხმათა უბრალო უმრავლესობით, თავისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს 4 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს ორი თანათავმჯდომარე, რომელთაც საბჭო ხმათა უბრალო უმრავლესობით, თავისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს 4 წლის ვადით.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება სულ ცოტა წელიწადში ოთხჯერ. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს საბჭოს წევრთა პირადი დასწრებით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

2022 წელს მივესალმეთ სამეთვალყურეო საბჭოს ახალ დამოუკიდებელ წევრს, ბ-ნ ნიკოლოზ ენუქიძეს. ის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2022 წლის ნოემბერში დაინიშნა. ის ასევე შეუერთდა ბანკის აუდიტისა და რისკების კომიტეტებს. შესაბამისად, ჟუ ნინგი 2022 წლის ნოემბერში გადადგა აუდიტისა და რისკის კომიტეტების თანამდებობიდან.

### სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

#### ჟანგ ტუნი - აღმასრულებელი თავმჯდომარე

2010 წლიდან დღემდე სინდიანგ ჰუალინგ ვაჭრობის და ინდუსტრიის ჯგუფის, ანუ ჰუალინგ ჯგუფის გენერალური მენეჯერის მოადგილეა ფინანსებისა და უცხოური ინვესტიციების მიმართულებით. 1998 წლიდან 2010 წლამდე ჟანგ ტუნი იყო ურუმჩის კომერციული ბანკის გაყიდვების დეპარტამენტის გენერალური მენეჯერი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ასისტენტი და ადამიანური რესურსის მართვის დირექტორი. 1992 წლიდან 1997 წლამდე ის იყო ურუმჩის საკრედიტო კავშირის დირექტორის მოადგილე. მრავალი წლის განმავლობაში ჟანგ ტუნი მაღალი თანამდებობები ეკავა ჩინეთის სახალხო ბანკის ურუმჩის ფილიალში, ურუმჩის კომერციულ ბანკში და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში. მას კომერციული ბანკების და ოპერაციების მართვის მდიდარი გამოცდილება და შესაბამისად, მცირე და საშუალო ზომის კომერციული ბანკების სტრატეგიული განვითარების ნათელი და ღრმა ხედვა აქვს. ჟანგ ტუნი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მფლობელია.

#### ჟუ ნინგ - ვიცე-თავმჯდომარე, დამოუკიდებელი წევრი

2005 წლიდან დღემდე არის კომპანია „ტუჰონგ ინტერნეშენლის“ მმართველი დირექტორი. მას ფინანსური კონსულტაციის პროექტები განხორციელებული აქვს: ურუმჩის კომერციულ ბანკში, დეიანგის ბანკში, იანტი ბანკში, ჰანგ სენგ ბანკში, ვინგ ლუნგ ბანკში, სიამენ ბანკში, ჰონგ კონგ ფუბონ ბანკში და ტიანშანის ბანკში. ჟუ ნინგს ჩინური და უცხოური მცირე და საშუალო ბანკების სტრატეგიის და ბიზნესის განვითარების ღრმა ცოდნა აქვს.

ჟუ ნინგს აშშ-ის ფუქუას ბიზნეს სკოლაში მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი, ინჟინრის დიპლომი აშშ-ის ვირჯინიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და კიდევ ერთი ინჟინრის დიპლომი ჩინეთის მეცნიერების და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში.

#### ნიკოლოზ ენუქიძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ნიკოლოზ ენუქიძეს აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (1993) ფიზიკის ხარისხი და მერილენდის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში (MBA). 2006-2008 წლებში იყო საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2008-2010 წლებში ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. ნიკოლოზ ენუქიძე თბილისი ბანკში 2013-2021 წლებში სხვადასხვა წამყვან თანამდებობებს იკავებდა, მათ შორის რისკების კომიტეტის თავმჯდომარისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის. 2017 წლიდან დღემდე მუშაობს Yelo Bank-ის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ არაადმასრულებელ წევრად (აზერბაიჯანი).

მანამდე ნიკოლოზ ენუქიძე მუშაობდა უკრაინულ წამყვან საინვესტიციო ბანკში, Concorde Capital-ის კორპორაციული ფინანსების მმართველ დირექტორად, ლონდონში ABN AMRO-ში კორპორატიული ფინანსების დირექტორის თანამემწედ და აშშ-ში Global One Communications LLC-ის ბიზნესის განვითარების უფროს მენეჯერად.

#### მი ზაიქი - ვიცე-თავმჯდომარე

2011 წლიდან დღემდე მი ზაიქი სინდიანგ ჰუალინგ ვაჭრობის და ინდუსტრიის ჯგუფის, ანუ ჰუალინგ ჯგუფის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილე და ჰუალინგ ჯგუფის საქართველოს



ფილიალის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორია. 2010-2011 წლებში ის ჰუალინგის უძრავი ქონების განვითარების კომპანიაში დირექტორის ასისტენტად მუშაობდა, 2005-2006 წლებში კი ჰუალინგის სასტუმროში გენერალური მენეჯერის ასისტენტი იყო. მი ზაიქიმ ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი კალიფორნიის უნივერსიტეტში მიიღო.

**ზაზა რობაქიძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი**

ეკონომიკის მაგისტრის ხარისხთან ერთად ზაზა რობაქიძეს საბანკო სფეროში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, რომელიც 25 წელზე მეტს ითვლის. 2012 წლიდან დღემდე ბაზისბანკის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეა, 2018 წლიდან კი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. კარიერა საქართველოს ეროვნულ ბანკში დაიწყო. მრავალი წლის განმავლობაში მას ცენტრალური ბანკის შედამხედველობის სფეროში სხვადასხვა პოზიცია ეკავა, ეკონომისტიდან დაწყებული, შედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელით დამთავრებული.

**მია მი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი**

მია მი ჰუალინგ ჯგუფის საქართველოს თავისუფალი ეკონომიკური ზონის საერთაშორისო განვითარების მიმართულების დირექტორია. ის ჰუალინგის თავისუფალი ეკონომიკური ზონის ხელმძღვანელის ასისტენტად მუშაობის დროს ორ მნიშვნელოვან სფეროს კურირებდა: 2012 წელს ბაზისბანკში წილის შექმნას და 2011-2015 წლებში სამშენებლო მასალების ყოველწლიური გამოფენის ორგანიზებას, სადაც ცენტრალური აზიის ბიზნესპარტნიორები ხვდებოდნენ ერთმანეთს. 2015-2017 წლებში მია მის ბაზისბანკის საკვანძო დეპარტამენტებში სხვადასხვა პოზიცია ეკავა. ის პასუხისმგებელი იყო საკრედიტო პორტფელის ანალიზზე, ჩინელ კორპორაციულ და საცალო კლიენტებთან კომუნიკაციასა და ბანკის აქციონერებთან ურთიერთობაზე, აწყობდა მასშტაბურ კორპორაციულ ღონისძიებებს და ადამიანური რესურსის დეპარტამენტს ეხმარებოდა თანამშრომლების შერჩევაში. მია მის ამერიკის ქ. ლოს ანჯელესის სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი აქვს მიღებული.

**სამეთვალყურეო საბჭოს დონის კომიტეტები**

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებლობის გარკვეულ არეალს დელეგირებით გადასცემს **აუდიტის კომიტეტს** და **რისკის მართვის კომიტეტს**. ამ ორი კომიტეტის ფუნქციები ერთმანეთისგან განცალკევებულია. კომიტეტები რეგულარულად წარუდგენენ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს, რათა ინფორმირებული გადაწყვეტილებები იქნას მიღებული.

კომიტეტებს შეუზღუდავი წვდომა აქვთ ბანკის შიდა ინფორმაციასა და დოკუმენტებზე, რომლებიც მათი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია.

კომიტეტებს აქვთ სრული წვდომა დირექტორატის ფუნქციონირებასა და რისკის მართვის ფუნქციებზე. თითოეულ კომიტეტს შეუძლია დამოუკიდებელი სხდომები გამართოს დირექტორატის, გარე აუდიტის ან/და სხვა თანამშრომლების თანდასწრების გარეშე; ასევე, თითოეულ კომიტეტს უფლება აქვს, გამოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ანგარიშგებები.

კომიტეტებს აქვთ უფლება და შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოიწვიონ კონსულტანტები (თუკი საჭიროა), რომ მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია და საკონსულტაციო მომსახურება იურიდიულ, ტექნიკურ, ფინანსურ, რისკის მართვის, სტატისტიკურ და სხვა თემებზე.

**აუდიტის კომიტეტი**

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობიდან იქმნება აუდიტის კომიტეტი. კომიტეტი სამი წევრისგან შედგება, რომელთაგან ორი საბჭოს დამოუკიდებელი წევრები არიან.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტის კომიტეტი 6-ჯერ შეიკრიბა. სხვა ფუნქციებთან ერთად, კომიტეტი პასუხისმგებელია შემდეგზე:

- ბანკის შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა; ამის ფარგლებში, შიდა აუდიტის მასშტაბისა და მოცულობის განსაზღვრა;
- ბანკის აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ხარისხის კონტროლი და მონიტორინგი;
- გამოვლენილი კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობის შეუსაბამობისა და სხვა ხარვეზების გამოსწორების მიზნით დირექტორთა საბჭოს მიერ აუცილებელი ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა;
- რისკების მართვის ჩარჩოს და შიდა კონტროლის ეფექტურობის უზრუნველყოფა;
- ბანკის წლიური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების განხილვა, აუდიტორებთან აუდიტირებული ანგარიშების, აუდიტისწინა და აუდიტისშემდგომი პროცესების, ძირითადი საკითხებისა და დასკვნების განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის ანგარიშების და რეკომენდაციების მომზადება.
- ყველა შიდა დოკუმენტის, შიდა პროცესებისა და კონტროლის ფუნქციის მიზანშეწონილობის განხილვა, ფინანსური ანგარიშგების პროცესის მონიტორინგი, მონაცემთა დადასტურების პროცესი და ა.შ.

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით კომიტეტის წევრებს წარმოადგენდნენ:

- ზაზა რობაქიძე - აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე / საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
- მი ზაიქი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- ნიკოლოზ ენუქიძე - საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

**რისკების მართვის კომიტეტი**

რისკების მართვის კომიტეტი საბჭოს სამი წევრისგან შედგება, რომელთაგან ორი დამოუკიდებელი წევრია.

საანგარიშგებო წლის განმავლობაში, კომიტეტი 4-ჯერ შეიკრიბა. კომიტეტი პასუხისმგებელია:



- ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების განსაზღვრას და მათ ეფექტიან აღსრულებას;
- აკონტროლოს და უზრუნველყოს რისკების მართვის ჩარჩოს არსებობა და შიდა კონტროლის სისტემების გამართული ფუნქციონირება;
- ზედამხედველობა გაუწიოს შვილობილების რისკის მართვის ფუნქციებს, ჩარჩო პირობებს და შიდა კონტროლის სრულყოფილ ფუნქციონირებას.

ამგვარად, რისკების კომიტეტის მეშვეობით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად არის ჩართული ბანკის რისკების მართვის პროცესში, პროაქტიულად იღებს ინფორმაციას და რეკომენდაციებს რისკების ლიმიტების, მათი შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების შესახებ და აკვირდება, რამდენად ინტეგრირებულია რისკების მართვის სტრატეგიები და პოლიტიკები ბანკის დირექტორატისა თუ სხვადასხვა მიმართულებების ყოველდღიურ საქმიანობაში და მოქმედებენ თუ არა ისინი კანონმდებლობასა და შიდა პოლიტიკებთან შესაბამისობაში.

კომიტეტის წევრებს 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით წარმოადგენდნენ:

- ნიკოლოზ ენუქიძე - რისკების კომიტეტის თავმჯდომარე/საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
- მია მი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- ზაზა რობაქიძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

### სამეთვალყურეო საბჭოსა და საბჭოს დონის კომიტეტების წლიური შეფასება

წლიური თვითშეფასების ფარგლებში, 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, სამეთვალყურეო საბჭომ მოახდინა საბჭოს სტრუქტურის, ზომისა და შემადგენლობის, ასევე, კომიტეტების შემადგენლობისა და კოორდინაციის შეფასება. თვითშეფასების სხვა კრიტერიუმებს ასევე წარმოადგენდა: საბჭოს და კომიტეტების, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, პროფესიული ეთიკა, სხდომების დაგეგმვა, დღის წესრიგი, მასალების მიწოდება და რეპორტირება, სტრატეგიის განსაზღვრასა და დაგეგმვაში მონაწილეობას, რეპორტირება და კომუნიკაცია. (საბჭოს დონის კომიტეტები)

შეფასების შედეგად, როგორც საბჭოს, ისე მისი კომიტეტების მუშაობა შეფასდა, როგორც ეფექტიანი და შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და ასევე ბანკის შიდა რეგულაციებთან. საბჭო და კომიტეტები განიხილავენ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რაც შედის მათი პასუხისმგებლობის ქვეშ და იღებენ გადაწყვეტილებას მიღებული ინფორმაციის შესაბამისად. საბჭო და კომიტეტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბანკის საქმიანობისა და პროცესების საბანკო საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სამართლებრივ აქტებთან და ეროვნული ბანკის მითითებებთან შესაბამისობას. საბჭოს და კომიტეტების წევრების დაკომპლექტება და წევრების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და არსებულ გამოწვევებთან.

საბჭოს და კომიტეტების წევრებს აქვთ საშუალება, გადასაწყვეტი საკითხის კომპლექსურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიიღონ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, რესურსი, მათ შორის, ისარგებლონ დამოუკიდებელი კონსულტანტების სერვისით. ამ მიზნით ბანკის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შესაბამისი რესურსი.

სწრაფად ცვალებადი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან, გლობალური და ლოკალური გამოწვევებიდან გამომდინარე, რეკომენდებული იქნა, პერიოდულად მოხდეს საბჭოს და კომიტეტების წევრების ცნობიერების ამაღლება და/ან გარე ექსპერტების დანმარების მიღება

ისეთი აქტუალური მიმართულებებით, როგორცაა: საინფორმაციო და კიბერუსაფრთხოების საკითხები, ჰიპოთეტურ სისტემურ და იდოსინქრატულ სტრესსცენარებთან დაკავშირებული გაჯანსაღების გეგმა; არაფინანსური (მათ შორის: გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) რისკების მართვა.

შიდა „სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტების შეფასების სახელმძღვანელოს“ შესაბამისად, 2022 წელს დამოუკიდებელმა გარე კომპანიამ შეაფასა საბჭოს საქმიანობა. შეფასების დოკუმენტში მოცემულია რეკომენდაციები, როგორცაა საბჭოს როლი და მნიშვნელობა ეფექტური მართვის პროცესების განხორციელებისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, მათ შორის შესაბამისი სტრატეგიებისა და პროცედურების შემუშავება მატერიალური რისკის ამღებთა გადინებისას ბიზნესის უწყვეტობის შესანარჩუნებლად; ESG საკითხების სათანადოდ ასახვის უზრუნველყოფა ბანკის სტრატეგიაში და მათი ეფექტური განხორციელების მონიტორინგი; უფროსი დამოუკიდებელი წევრი ამავდროულად ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

## ღირექტორთა საბჭო

ღირექტორატის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ბანკის ყოველდღიური საქმიანობის ეფექტიანი მართვა და ჯგუფის პერმანენტული განვითარების უზრუნველყოფა, ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაწესებულ მიზნობრივ საბაზრო პოზიციებთან მუდმივი და მდგრადი თანხვედრა. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს ღირექტორატის წევრებს, ანაწილებს მათ ფუნქციებს, სტრუქტურას და მათ როლს მმართველობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ღირექტორატის სტრუქტურას, ღირექტორატის წევრების ფუნქციებს, მმართველობაში მათ როლს და პასუხისმგებლობებს. ღირექტორატის წევრების ანგარიშვალდებულება, სხდომის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესები დადგენილია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რეგულაციით ღირექტორატის შესახებ.

ღირექტორატი აცნობიერებს კარგი კორპორაციული მართვისა და რისკების მართვის კულტურის მნიშვნელობას და საკუთარ როლს აღნიშნულის ჩამოყალიბებაში. ღირექტორატი ხელმძღვანელობს ბანკის ოპერაციებს და პასუხისმგებელია მისი საქმიანობის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული მიზნების, მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოსა და შიდა რეგულაციების შესაბამისად წარმართვაზე. ღირექტორატი მჭიდროდ თანამშრომლობს სამეთვალყურეო საბჭოსთან და მას ანგარიშს წარუდგენს ყველა იმ შესაბამის საკითხზე, რომლებიც ეხება სტრატეგიას, დაგეგმვას, ბიზნესპოლიტიკას, დაგეგმვას, ბიზნესის განვითარებას, რისკების მდგომარეობას, რისკების მართვას, პერსონალის განვითარებას, რეპუტაციასა და შესაბამისობას, სულ მცირე კვარტალში ერთხელ.

ღირექტორატი პასუხისმგებელია ბიზნესის ამოცანების შესრულებაზე ჯგუფის სტრატეგიის თანახმად, ბანკის კაპიტალის და ლიკვიდობის დაგეგმვის უზრუნველყოფაზე და იმაზე, რომ ბანკის მასშტაბით ხდება მენეჯმენტის პოლიტიკის და პროცედურების კომუნიკაცია და განხორციელება და მათ აქვთ უფლებამოსილების და რესურსების სათანადო მხარდაჭერა. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი მუშაობს შიდა და გარე რეგულაციებით განსაზღვრულ პროცესებსა და პროცედურებთან, განაწილებულ რესურსებთან, დაგეგმვასთან, მართვასთან, ფინანსური და რისკების პოზიციების აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან შესაბამისობაში, და რომ სათანადოდ ასრულებს მენეჯმენტის და კონტროლის ფუნქციებს.

ღირექტორატი შედგება გენერალური ღირექტორის, გენერალური ღირექტორის მოადგილეების და სხვა ღირექტორებისგან.

### გენერალური ღირექტორი

- სამეთვალყურეო საბჭოსთან კონსულტაციის შედეგად ანაწილებს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს ღირექტორატის წევრებს შორის
- უზრუნველყოფს ღირექტორატის გამართულ ფუნქციონირებას, კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებასა და მიღებული გადაწყვეტილებების კომპანიის სტრატეგიასთან შესაბამისობას
- უწევს ღირექტორატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას ზედამხედველობასა და კოორდინაციას
- წარმოადგენს ბანკს მესამე პირებთან ურთიერთობაში

### ღირექტორატის წევრები:

- ხელმძღვანელობენ თავის დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს, ზრუნავენ მათ გამართულ ფუნქციონირებაზე და ბანკის სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებაზე;
- წარმოადგენენ ბანკს მესამე პირებთან ურთიერთობაში თავიანთი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ფარგლებში.

### ღირექტორატი 7 წევრისგან შედგება:

- დავით ცაავა - გენერალური ღირექტორი
- ლია ასლანიკაშვილი - გენერალური ღირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით

## Basisbank Pillar 3 Annual Report / 2022

- ლი ხვეი - გენერალური დირექტორის მოადგილე დაკრედიტების მიმართულებით
- ღავით კაკაბაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის მიმართულებით
- ლევან გარდაფხაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე საცალო საბანკო საქმიანობის მიმართულებით
- გიორგი გაბუნია - კომერციული დირექტორი
- რატი დვალაძე - ოპერაციული დირექტორი

### დირექტორატის წევრები

#### ღავით ცაავა - გენერალური დირექტორი

ბაზისბანკის გენერალური დირექტორი 2011 წლიდან. 2015-2018: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2017 წლის დეკემბრიდან სს „BB ლიზინგის“ და სს „BB დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

ბაზისბანკში კარიერა საკრედიტო ოფიცრის პოზიციიდან დაიწყო, მოგვიანებით კი 2008 წელს კორპორაციული სესხების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2008-2010 წლებში კორპორატიული დირექტორი იყო. 2010-2011 წლებში ღავით ცაავა გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბანკო საქმესა და ფინანსებში ბაკალავრის ხარისხის მოპოვების შემდეგ სწავლა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო, სადაც მაგისტრის ხარისხი მიიღო. მოგვიანებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

#### ლია ასლანიკაშვილი - გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით

ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით 2012 წლიდან. 2017-2018: BB ლიზინგის გენერალური დირექტორი. 2017-დღემდე: ამავე კომპანიის და ასევე ბაზისბანკის ჯგუფის კიდევ ერთი წევრის, ჰუალინგ დაზღვევის გენერალური დირექტორის მოადგილე.

1999-2002 წლებში ბაზისბანკის საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტის მენეჯერი იყო. 2002-2005 წლებში ამავე დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. 2005-2007 წლებში ანგარიშსწორების დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო. 2007-2008 წლებში ლია ასლანიკაშვილი ხაზინის დეპარტამენტს ედგა სათავეში, 2008-2012 წლებში კი ბანკის ფინანსური დირექტორის თანამდებობა ეკავა.

ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მაგისტრის ხარისხს.

#### ლი ხვეი - გენერალური დირექტორის მოადგილე დაკრედიტების მიმართულებით

გენერალური დირექტორის მოადგილე დაკრედიტების მიმართულებით 2012 წლიდან. 2015-2018: ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2017 წლიდან BB ლიზინგის და ჰუალინგ დაზღვევის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ფინანსურ სექტორში 1993 წლიდან მუშაობს. 2005-2012 წლებში ქ. ურუმჩის კომერციული ბანკის საკრედიტო მართვის დეპარტამენტში კრედიტების დამტკიცების მიმართულებას ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა დროს ურუმჩის საკრედიტო კოოპერატივების საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე და დირექტორის მოადგილე იყო.

ლი ხვეის ბუღალტრული აღრიცხვის ბაკალავრის ხარისხი აქვს, რომელიც ჩინეთის ფინანსურ უნივერსიტეტში მიიღო.

**დავით კაკაბაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის მიმართულებით**

ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის მიმართულებით 2019 წლიდან. 2017-2019: ჰუალინგ დაზღვევის გენერალური დირექტორი. 2017-2018: BB ლიზინგის გენერალური დირექტორის მოადგილე.

დავით კაკაბაძეს საბანკო სფეროში მუშაობის 19-წლიანი გამოცდილება აქვს. ბაზისბანკში 2003 წლიდან მუშაობს. თავიდან ის დეველოპერი და პროგრამისტი იყო. 2005 წელს პროგრამირების განყოფილების უფროსად დაინიშნა. 2008-2012 წლებში დავით კაკაბაძე ინფორმაციული ტექნოლოგიების და რისკების მართვის დირექტორი გახდა. 2012-2019 წლებში ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე იყო რისკების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის მიმართულებით.

დავით კაკაბაძეს კაკასიის ბიზნესსკოლაში ფინანსების მაგისტრის ხარისხი აქვს მინიჭებული.

**ლევან გარდაფხაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე საცალო საბანკო საქმიანობის მიმართულებით**

ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე საცალო საბანკო საქმიანობის მიმართულებით 2012 წლიდან. 2017-2018: BB ლიზინგის და ჰუალინგ დაზღვევის გენერალური დირექტორის მოადგილე.

ბაზისბანკში კარიერა საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტის მენეჯერობიდან დაიწყო. 2005 წელს დაინიშნა პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის უფროსად. 2007-2008 წლებში განვითარების პროექტების მართვის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. 2008-2012 წლებში საცალო საბანკო საქმიანობის დირექტორი იყო.

ლევან გარდაფხაძეს ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი აქვს, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტში მიენიჭა. თბილისის ეკონომიკურ, სამართლის და ინფორმაციის უნივერსიტეტში სამართლის მაგისტრის ხარისხი მიიღო, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კი - საერთაშორისო ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიენიჭა.

**გიორგი გაბუნია - კომერციული დირექტორი**

ბაზისბანკის კომერციული დირექტორი 2019 წლიდან. 2012-2019 წლებში ის ბანკის კომერციულ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, 2010-2012 წლებში საერთაშორისო საბანკო დაწესებულებაში კორპორაციულ მიმართლებას ედგა სათავეში. 2008-2010 წლებში კორპორაციულ რეგიონულ ჯგუფს მართავდა. 2006-2008 წლებში კი ამავე დაწესებულების კორპორაციული ბანკირი იყო. უფრო ადრეულ წლებში კი ბაზისბანკის მარკეტინგის და გაყიდვების სფეროში მუშაობდა.

გიორგი გაბუნიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბანკო საქმის მაგისტრის ხარისხი მიენიჭა. ბაკალავრის ხარისხი ფინანსებსა და საბანკო საქმეში ამავე უნივერსიტეტში მიიღო.

**რატი დვალაძე - ოპერაციული დირექტორი**

ბაზისბანკის ოპერაციული დირექტორი 2019 წლიდან. 2014-2019 წლებში რატი დვალაძე ბაზისბანკის პროექტების მართვის და ბიზნესის ანალიზის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2008-2014 წლებში საკრედიტო რისკების სისტემის და ანალიზის მიმართულებით მუშაობდა. ასევე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას: კითხულობს ლექციებს.

რატი დვალაძემ საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის მაგისტრის ხარისხი თავისუფალ უნივერსიტეტში მიიღო. ასევე აქვს მაგისტრის ხარისხი მათემატიკაში, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო და ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში.

### რისკების მართვის და კონტროლის სისტემა

რისკების მართვისა და კონტროლის სისტემები საკვანძოა ბანკისა და ჯგუფის სტაბილური და ძლიერი განვითარების უზრუნველსაყოფად, მისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, და რისკის, კაპიტალისა და საქმიანობის მიზნების კლიენტების, აქციონერების, თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეების ინტერესებზე მოსარგებად.

რისკების სტრატეგია საბჭოს დონეზე განიხილება და მტკიცდება, და ბიზნეს სტრატეგიიდან გამომდინარეობს. რისკის სტრატეგია განსაზღვრავს ძირითად პრიორიტეტებს, ადგენს აღსრულების მიზნებს და ეხება ეკონომიკური, სოციალური და მარეგულირებელი გარემოს ცვლილებებს; უზრუნველყოფს ბანკის რისკების მიდგომის ჩარჩოებით განსაზღვრულ საშუალო-დაბალი რისკის პროფილს, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის პრინციპებისა და მარეგულირებელი მოლოდინების გათვალისწინებით. რისკის სტრატეგია მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და იცვლება ნებისმიერ დროს, როდესაც სტრატეგია განახლდება, მაგრამ ყოველწლიურად მაინც და აუცილებელია, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს მთელი დაწესებულებისთვის.

რისკის სტრატეგია განსაზღვრავს ჯგუფის მიდგომას რისკის მართვის მიმართ, შესაბამისი რისკების გამოვლენის, შეფასების, კონტროლის, რეპორტირებისა და მართვის/გამოწვევის ზოგადი მეთოდოლოგიების ჩათვლით; და რისკის მართვის სტრუქტურას, რომელიც შექმნილია ამ საქმიანობის მხარდასაჭერად ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში.

რისკები იმართება პოლიტიკისა და პროცედურების ფორმალიზებული პრინციპების ჩარჩოს და ორგანიზაციული სტრუქტურის მეშვეობით, მკაფიოდ დელეგირებული უფლებამოსილების დონეებით და გაზომვისა და მონიტორინგის პროცესებით, რომლებიც მჭიდროდ შეესაბამება განყოფილებების და ბიზნეს ერთეულების საქმიანობას. ეს სპეციალიზებული მმართველობითი ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ ყველა თანმდევი რისკი სათანადოდ კონტროლდება ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში.

### რისკების მართვა

ჯგუფი რისკების მართვის ძლიერ ჩარჩოს ეფუძნება, რომელიც საბჭოს მიერ განსაზღვრულ რისკის პროფილის ეფექტურ კონტროლს და მართვას უზრუნველყოფს.

სტრატეგიულ დონეზე, რისკის მართვის მიზნები, რომელსაც მხარს უჭერს რისკის მართვის სტრუქტურა, არის:

- ბანკის სტრატეგიის განსაზღვრა, რომელიც ეფუძნება ჯგუფის რისკის აპეტიტს და სტრატეგიული და კაპიტალის განვითარების გეგმას;
- რისკებზე რეაგირების და გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია ბიზნესთან მაქსიმალური მიახლოების გზით;
- ბიზნესის ზრდასთან ერთად რისკების ეფექტიანი ინფრასტრუქტურის სათანადო მხარდაჭერა;
- რისკების პროფილის მართვა, ისე რომ შენარჩუნდეს ბანკის ფინანსური სიჯანსაღე, თუკი გარე ფაქტორები ბიზნესისათვის არასასარბიელოდ განვითარდა;

მმართველობის ამ ჩარჩოს საფუძვლად უდევს როლების განაწილება დაცვის სამ ხაზს შორის, კომიტეტების ძლიერი სტრუქტურა და რისკებზე პასუხისმგებლობის გაზიარება უმაღლესი დონიდან თითოეულ ბიზნეს ხაზამდე, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელამდე და/ან რისკის ოფიცრამდე.

### დაცვის ხაზები

რისკებზე კონტროლი ორგანიზებულია დაცვის სამ ხაზზე:


პირველი ხაზი: ბიზნესერთეულების დონე - რისკების ოპერაციული ყოველდღიური მართვა არის ბიზნეს ერთეულების და მხარდაჭერის ფუნქციების ამოცანა, რომლებიც წარმოშობენ რისკებს და, შესაბამისად, ამ რისკების მართვის ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. რისკის თითოეული მფლობელი ადგენს და განიხილავს რისკების მართვის ინსტრუმენტებსა და სტრუქტურას მათი საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი რისკებისთვის, რაც უზრუნველყოფს, რომ ყოველდღიური რისკის მართვა რეგულირდება




ბანკის პოლიტიკის შესაბამისად და ხორციელდება ბანკის საოპერაციო დონის დეტალური რეგულაციების შესაბამისად.

მეორე ხაზი: რისკის მართვა, შესაბამისობა და AML/CFT ფუნქციები - შიდა კონტროლი და შესაბამისობის ზედამხედველობა არის ამ ფუნქციების პასუხისმგებლობა, ასევე რისკების იდენტიფიცირება და გამოწვევა. ლიმიტების სისტემას მართავს რისკების მენეჯმენტი, რომელმაც რეგულარულად უნდა აცნობოს შედეგი აღმასრულებელ საბჭოს. ლიმიტის დარღვევის შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს აღმასრულებელი საბჭოს მიერ. რისკის მენეჯმენტი ასევე აკონტროლებს დაცვის პირველი ხაზის საქმიანობას. ეს ფუნქციები უზრუნველყოფს რისკების მართვას რისკის აპეტიტის შესაბამისად, რაც ხელს უწყობს რისკების ორგანიზაციაში ძლიერ კულტურას. ისინი მენეჯმენტს უზრუნველყოფენ რჩევით და აწვდიან ექსპერტულ მოსაზრებას რისკებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მესამე ხაზი: შიდა აუდიტი - აქვს მარწმუნებელი ფუნქცია უფროსი მენეჯმენტისა და საბჭოს წინაშე, რომ პირველი და მეორე ხაზის ძალისხმევა შეესაბამება მოლოდინებს, შიდა აუდიტის ფუნქცია აკონტროლებს და რეგულარულად ამოწმებს, რომ პოლიტიკა და პროცედურები მენეჯმენტში ადეკვატური და ეფექტურია; აკონტროლებს, რომ ყველა რისკი შესაბამებოდეს ბანკის რისკების აპეტიტის განცხადებას და შიდა რეგულაციებს; აკონტროლებს ყველა მარეგულირებელ და სხვა სავალდებულო მოთხოვნასთან შესაბამისობას.





ბანკში რისკების მართვის სტრუქტურა უზრუნველყოფს მოვალეობების ეფექტურ განაწილებას პერსონალის ყველა დონეზე, უფროსი მენეჯმენტით დაწყებული, მენეჯერული რგოლების გავლით კლიენტთა მომსახურების პერსონალით დამთავრებული. რისკებზე ზედამხედველობის ფუნქცია ღირექტორატის მოვალეობებში შედის და დელეგირებულია რისკის უფროს მენეჯერებსა და რისკების მართვის უფროს კომიტეტებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შესრულებასა და ზედამხედველობაზე. რისკების ჯვარედინი ანალიზის და რეგულარული განხილვების მეშვეობით ჯგუფი რწმუნდება, რომ რისკის მართვის ჯანსაღი პრაქტიკა და რისკის ყოვლისმომცველი ცნობიერება აქვს.

რისკის ზედამხედველობის ფუნქცია და რისკების მართვის სისტემები რისკების მართვის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებზეა განაწილებული:

- სამეთვალყურეო საბჭო,
- ღირექტორთა საბჭო,
- აუდიტის კომიტეტი,
- რისკების კომიტეტი,
- აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO,)
- რისკების მართვის დეპარტამენტი,
- AML/CFT დეპარტამენტი,
- კომპლენსის განყოფილება,
- ხაზინის დეპარტამენტი და
- საკრედიტო კომიტეტები.

სამეთვალყურეო საბჭოს და ღირექტორთა საბჭოს აქვთ ჯანსაღი გაგება თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რისკების მართვა და რისკების მართვის ეფექტური სტრუქტურები ბანკის მდგრადი და სტრატეგიული განვითარებისთვის.



სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე - დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი, რომლებიც ანგარიშს წარუდგენენ უშუალოდ საბჭოს და აწვდიან მიუკერძოებელ ინფორმაციას არსებული პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობის, ჯგუფის რისკის სტრატეგიის დაცვის, რისკის აპეტიტის და რისკის პოზიციების, რეგულირებასთან შესაბამისობის და სხვა შიდა და გარე რეგულაციების შესახებ.

დირექტორთა საბჭოს დონეზე - რისკების მართვის დამოუკიდებელი ერთეული და რისკის პროფილის კომიტეტები საკრედიტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტების დონეზე, რათა უზრუნველყონ რისკის მართვის ჯანსაღი პრაქტიკა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი; რისკის მართვის ანალიტიკური და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტები; ფინანსური და მენეჯერული ანგარიშგების ყოვლისმომცველი სისტემა დირექტორთა საბჭოს მარეგულირებელი მოთხოვნებისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; სხვადასხვა ტიპის რისკების გამოვლენა და კლასიფიკაცია, რომლებიც ჯგუფს პოტენციურად ემუქრება; პოლიტიკა, პროცედურები და გაიდლაინები, რომლებიც არეგულირებს რისკების მართვას ორგანიზაციის მასშტაბით.

სამეთვალყურეო საბჭო - „ქმნის ამინდს“, ამკვიდრებს და იცავს ბანკში მაღალი ეთიკის და პასუხისმგებლობის კულტურას. საბჭოს უშუალო პასუხისმგებლობაში შედის რისკების მართვის სისტემების ზედამხედველობა. როგორც ბანკის უმაღლესი მმართველი ორგანო, სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ბანკის სტრატეგიას და შესაბამის ბიუჯეტს და აკონტროლებს მის შესრულებას; აფასებს ბანკის რისკის პროფილს, რითაც ადგენს რისკების მართვის ზოგად მიდგომას და პრინციპებს, ბანკის რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობას და ეფექტიანობას, ამტკიცებს რისკების ცალკეულ სტრატეგიებს, ადგენს რისკის აპეტიტს და ქმნის რისკების კონტროლის სისტემას.

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს რისკების მართვის პოლიტიკას, რომლის მიზანიც რისკების გამოვლენა, ანალიზი და მართვაა. პოლიტიკა მენეჯმენტს ანიჭებენ პასუხისმგებლობას კონკრეტულ რისკებზე, ადგენს რისკების შესაბამის ლიმიტებს და შიდა კონტროლის სისტემის მოთხოვნებს, მუდმივ მეთვალყურეობას უწევს რისკების დონეებს და ლიმიტების დაცვას. რისკების მართვის პოლიტიკის და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად შევიდეს ცვლილებები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ბაზარზე არსებული პირობების ცვლილებით, ახალი პრაქტიკის დანერგვით, პროდუქტებსა და მომსახურებაში შეტანილი ცვლილებებით და ა.შ.

აუდიტის კომიტეტი კონტროლის დამოუკიდებელი ფუნქციაა, რომელიც რეგულარულად ამოწმებს შიდა პროცესებს; იხილავს ბანკის შიდა კონტროლის სისტემას, აფასებს მის ობიექტურობას და სისწორეს; ზედამხედველობას უწევს ბანკის შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების შესრულებას; ამტკიცებს, ან საბჭოს რეკომენდაციას უწევს ფინანსური აღრიცხვის პროცესის მონიტორინგზე; ზედამხედველობას უწევს რისკების მართვის სისტემის, განსაკუთრებით კი შიდა კონტროლის სისტემის და შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობას. აუდიტის კომიტეტი საბჭოს წარუდგენს ყოველკვარტალურ ანგარიშგებას ბანკის ძირითადი რისკების შესახებ; აწვდის ინფორმაციას რისკების სტრატეგიის შესახებ, და ახორციელებს სტრატეგიის შესრულებაზე მონიტორინგს; ასევე, ზედამხედველობს იმ დონისძიებების აღსრულებას, რომლებიც ხელს უწყობს კომპანიის მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების, წესების და შიდა პოლიტიკების შესრულებას.

რისკების კომიტეტი მეთვალყურეობას უწევს ბანკის რისკის პროფილს; აფასებს ძირითადი რისკების ადეკვატურობის მოთხოვნებს, მათ შორის რისკების შეფასებას, მონიტორინგს და ლიმიტებს; მსჯელობს და ათანხმებს რისკის პროფილისა და რისკების სტრატეგიისთან დაკავშირებულ ქმედებებს ბანკის შიგნით; იხილავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებელ ყველა პოლიტიკას და სხვა დოკუმენტს მათ საბჭოში წარდგენამდე; შიდა აუდიტის კომიტეტთან ერთად აფასებს ბანკის შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების ეფექტიანობას; ამოწმებს გარე აუდიტის მიერ ჩატარებული ტესტებს რისკების მართვის გარემოს შეფასებისთვის და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს; პერიოდულად ამოწმებს რისკების ლიმიტების არსებულ სისტემებს.

დირექტორატი პასუხისმგებელია ბანკის მართვაზე იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ბანკის მთავარი ამოცანებისა და მიზნების, შედეგების მიზნობრივი მაჩვენებლების და ასევე, ყოველდღიური ოპერაციების

საზედამხედველო მოთხოვნებისა და ბანკის წესდების შესაბამისად შესრულება. დირექტორატი ადგენს მართვის პროცედურებს თითოეული ბიზნესმიმართულებისთვის დამახასიათებელი რისკებისთვის, ახდენს ბიზნეს მიმართულებების იმდგვარად სტრუქტურირებას, რომ ადეკვატურად იქნას ასახული დამახასიათებელი რისკი, უზრუნველყოფს უფლებამოსილებისა და მოვალეობების სათანადო დანაწილებას, განსაზღვრავს დაქვემდებარებული პერსონალის ოპერაციულ მოვალეობებს, უზრუნველყოფს შესაბამისი პროცედურების არსებობას. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების შემცირების ღონისძიებების მონიტორინგსა და განხორციელებაზე, ადეკვატური პროცედურების არსებობაზე, პოლიტიკის დამტკიცებაზე, სანამ საბჭოს წარედგინება, პროცედურების დანერგვამდე განხილვასა და დამტკიცებაზე.

ბაზისბანკის მენეჯმენტის ზედამხედველობის და კონტროლის კულტურა გულისხმობს დირექტორატის საქმიანობაში შიდა კონტროლის კომპონენტების შეტანას. დირექტორატის ყოველდღიური საქმიანობა ზედამხედველობის და კონტროლის ფუნქციის ფარგლებში მოიცავს შედეგების ანგარიშების გადახედვას, რაც მათ საშუალებას აძლევს დააჩქარონ ბანკის მიზნების შესრულების პროგრესი და აკონტროლონ საქმიანობა განყოფილებების და დეპარტამენტების დონეზე; რეგულარულ შემოწმებას, სათანადოა თუ არა ბანკის სტრატეგია და რისკების და კაპიტალის ლიმიტები და დაცულია თუ არა რისკის პოზიციისა და კაპიტალის ლიმიტები; ყოველ შეუსაბამობის შემთხვევაზე რეაგირებას იმაში დასარწმუნებლად რომ, შეუსაბამო ტრანზაქცია ან სიტუაცია ცნობილია შესაბამისი დონის მენეჯმენტისთვის; გარკვეული ლიმიტების ზემოთ გაკეთებული ტრანზაქციების დამტკიცების ან ავტორიზაციის მოთხოვნას; შიდა კონტროლების შეფასების განხილვას; აუდიტორების და საზედამხედველო ორგანოების მიერ შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეებთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფას.

ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა მოითხოვს მნიშვნელოვანი რისკების იდენტიფიცირებას და მუდმივ შეფასებას. ეს პროცესი უნდა მოიცავდეს ბანკების მიერ აღებულ ყველა რისკს და მოქმედებდეს მის ფარგლებში ყველა დონეზე. საკრედიტო, საოპერაციო და AML ინდივიდუალური პოლიტიკა ბანკს საშუალებას აძლევს იანგარიშოს, გააერთიანოს და დაარეპორტოს რისკი შიდა დონეზე, ასევე გამოიყენოს ეს ინფორმაცია მარეგულირებელი მიზნებისთვის. გარდა ამისა, ბანკის შიდა მეთოდოლოგიები და სახელმძღვანელოები ასახავს პროცესების აღწერას საკრედიტო გადაწყვეტილებებიდან დაწყებული - გაცემა, ფასები და დამტკიცება, პორტფელის მართვით და კაპიტალის ადეკვატურობით დამთავრებული.

რისკების ზედამხედველობისა და მართვის ერთიანი ჩარჩოს უზრუნველყოფის მიზნით დირექტორატი ბანკის შიგნით ქმნის კომიტეტებს და ფუნქციურ ერთეულებს.

**აქტივ-პასივების მართვის (ALCO) კომიტეტი** იხილავს მიმდინარე და სამომავლო ლიკვიდობის პოზიციებს და განიხილავს და ამტკიცებს ალტერნატიული დაფინანსების წყაროებს; იხილავს ვადიანობის/ხელახალი ფასწარმოქმნის გრაფიკს, რა დროსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მნიშვნელოვანი აქტივების ვადიანობის გადანაწილებას და ვადადამდგარ ვალდებულებებს; შეიმუშავებს დეპოზიტების, სესხების და ინვესტიციების ფასწარმოქმნის და ვადიანობის გადანაწილების პარამეტრებს; შეიმუშავებს იმ ალტერნატიულ სტრატეგიებს, რომლებიც ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთების და ტრენდების ცვლილებებს, დეპოზიტებს და სასესხო პროდუქტებს, მათთან დაკავშირებულ საბაზრო/საბანკო რეგულაციებს და ა.შ. დამოუკიდებლად ამოწმებს აქტივებისა და ვალდებულებების მენეჯმენტის (Asset and Liability Management- ALM) მოდელ(ებ)ის და პროცედურების კომპონენტებს, წინასწარ გაანგარიშებებს; ადასტურებს გაანგარიშების შედეგებს და მათ მართებულობას; ამტკიცებს კონტრაგენტის რისკის ლიმიტის სტრუქტურას.

**საკრედიტო კომიტეტი** მოქმედებს ბანკის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად; აფასებს პოტენციური კლიენტების ფინანსურ მდგომარეობას და მათ მიერ კრედიტის დაფარვის უნარს; იხილავს სასესხო განაცხადებს და იღებს მათზე გადაწყვეტილებებს კომიტეტზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში; იხილავს სესხების ამოღების პრაქტიკას სესხის გაცემის და ამოღების მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით.

გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მართვის მიმართულებით, რომელიც დირექტორთა საბჭოს წევრია, უმაღლესი დონის ხელმძღვანელი პირია, რომელიც პასუხისმგებელია რისკების მართვაზე საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციული რისკების სფეროებში. ის აყალიბებს „საწარმოს რისკის მართვის“ (ERM) ხედვას, ხელმძღვანელობს, მიმართულებას აძლევს მის დანერგვას და აღსრულებას ორგანიზაციაში. შეიმუშავებს მენეჯმენტის პოლიტიკების ბაზას, მათ შორის განსაზღვრავს ბანკის რისკის მადას. რისკების მართვის დირექტორის მოვალეობებია: რისკების ყოვლისმომცველი კონტროლი და რისკების შეფასების მეთოდების შემუშავება და მუდმივი განახლება; რისკების ლიმიტების დადგენა და რისკების რუკების შედგენა; საბჭოსთვის და მთავარი დაინტერესებული მხარეებისთვის რისკის პროფილის მკაფიო ხედვის წარდგენა. რისკების დირექტორს პირდაპირი და შეუფერხებელი წვდომა აქვს სამეთვალყურეო საბჭოზე, სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ბანკის რისკის პროფილის, წინასწარ განსაზღვრული რისკის მაღის დაცვის, და იმ მნიშვნელოვანი შიდა და გარე მოვლენების შესახებ, რომლებსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ბანკის რისკებზე.

საერთო რისკების მართვის დეპარტამენტი აფასებს საკრედიტო, საბაზრო რისკებს, რომლებიც სხვადასხვა ტრანზაქციას ან ოპერაციას უკავშირდება და ადგენს რეკომენდაციებს სტრუქტურასა და პროცედურებში საჭირო ცვლილებების შესახებ; აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს (ECL); მართავს და აფასებს საკრედიტო და საბაზრო რისკებს; შეიმუშავებს ICAAP-ის (კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესი) რისკების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან კოორდინაციით; შეიმუშავებს და ნერგავს რისკების შემცირების მეთოდებს, რომლებიც კონკრეტულად საკრედიტო რისკების მართვას უკავშირდება; აფასებს ბანკის მიერ დაკრედიტების შედეგებს და ადარებს გასულ პერიოდებს;

არაფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტი წარმოადგენს ბანკის რისკის მართვის ჩარჩოს განუყოფელ ნაწილს და მისი მიზანია არა-ფინანსური რისკების მართვის ეფექტური დონის დივიზიების დანერგვა ბანკში. არა-ფინანსური რისკები მოიცავს საოპერაციო რისკებს ბაზელ 3-ის საოპერაციო რისკების კატეგორიების მიხედვით, გარდა ამისა ისეთ მნიშვნელოვან რისკის ტიპებს როგორცაა კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებს და მესამე პირის რისკებს რისკებს. არა-ფინანსური რისკების მართვის მიზანია უზრუნველყოს რისკების იდენტიფიკაცია, შეფასება და მონიტორინგი, ასევე შესაბამისი რეპორტირების სისტემის დანერგვა და მეთოდოლოგიის შემუშავება, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არა-ფინანსურ რისკებთან დაკავშირებული ზარალი და ამასთანავე ხელი შეეწყოს ბიზნესის განვითარებას და ზრდას. არა-ფინანსური რისკების ეფექტური მართვა უზრუნველყოფს შიდა თადლითობის დონის მინიმუმაციას და ბანკის ბიზნეს-ამოცანების შესაბამისი ბიზნეს გარემოს დანერგვას.

ბანკი განასხვავებს ორ ძირითად არაფინანსური რისკის ფუნქციას: საოპერაციო რისკს და საინფორმაციო და კიბერუსაფრთხოების რისკს.

ხაზინის დეპარტამენტი - პასუხისმგებელია A&L სტრუქტურის, ლიკვიდობისა და დაფინანსების პოზიციის ყოველდღიურ კონტროლსა და მართვაზე, საპროცენტო განაკვეთის გეპის და სავალუტო რისკის მართვაზე, ანგარიშს დასამტკიცებლად წარუდგენს უშუალოდ ფინანსურ დირექტორსა და ALCO კომიტეტს; ხაზინის დეპარტამენტი ინარჩუნებს რისკების აღების შესაბამის ლიმიტებს, რისკის გაზომვის ადეკვატურ სისტემებსა და სტანდარტებს, პოზიციის შეფასების და შესრულების გაზომვის სტანდარტებს, რისკების ყოვლისმომცველ ანგარიშგებასა და მენეჯმენტის განხილვის პროცესს, ასევე ეფექტურ შიდა კონტროლს.

**რისკების სტრატეგია**

სტრატეგიულ დონეზე, რისკების მართვის ამოცანები, რომელსაც მხარს უჭერს რისკების მართვის სტრუქტურა, შემდეგია:


- ბანკის სტრატეგიის განსაზღვრა, რომელიც ეფუძნება ჯგუფის რისკის აპეტიტს და სტრატეგიული და კაპიტალის განვითარების გეგმას;
- რისკებზე რეაგირების და გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია ბიზნესთან მაქსიმალური მიახლოების გზით;

- ბიზნესის ზრდასთან ერთად რისკების ეფექტიანი ინფრასტრუქტურის სათანადო მხარდაჭერა;
- რისკების პროფილის მართვა, ისე რომ შენარჩუნდეს ბანკის ფინანსური სიჯანსაღე, თუკი გარე ფაქტორები ბიზნესისათვის არასახარბიელოდ განვითარდა;

ინფორმაცია და კომუნიკაცია აუცილებელია რისკების ეფექტური მართვისთვის. ბაზისბანკში ის გულისხმობს იმ ძირითადი ტიპის მონაცემების ჩართვას აღრიცხვის პროცესში, როგორცაა შიდა ფინანსური, ოპერაციული და შესაბამისობის მონაცემები, ასევე გარე ბაზრის ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული მოვლენებისა და პირობების შესახებ. ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა მოითხოვს მნიშვნელოვანი რისკების იდენტიფიცირებას და მუდმივ შეფასებას.

საკრედიტო, საოპერაციო და ფულის გათეთრების წინააღმდეგ (AML) ინდივიდუალური პოლიტიკა ბანკს საშუალებას აძლევს იანგარიშოს, გააერთიანოს და დაარეპორტოს რისკი შიდა დონეზე, ასევე გამოიყენოს ეს ინფორმაცია მარეგულირებელი მიზნებისთვის. გარდა ამისა, ბანკის შიდა მეთოდოლოგიები და სახელმძღვანელოები ასახავს პროცესების აღწერას საკრედიტო გადაწყვეტილებებიდან დაწყებული - გაცემა, ფასები და დამტკიცება, პორტფელის მართვით და კაპიტალის ადეკვატურობით დამთავრებული.


რისკების მართვის უწყვეტობა



ბანკი იცავს და ინარჩუნებს კორპორაციული მართვის საუკეთესო სტანდარტებს. ბაზისბანკი საქართველოს საბანკო ასოციაციის მიერ 2009 წელს შემუშავებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ წევრია. ჩვენს საქმიანობას არეგულირებს და ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სამსახური. ზედამხედველობა გულისხმობს ლიცენზირებას, კაპიტალის ადეკვატურობის, ლიკვიდობის, რისკების კონცენტრაციის, საქმიანობის წარმართვის და ორგანიზაციული და ანგარიშგების მოთხოვნების შესრულების შემოწმებას, ასევე კომერციულ ბანკებში რისკების მართვის, პრინციპების, შიდა კონტროლის სისტემების რეგულირებას და ა.შ.

მენეჯმენტის რეპორტირების სისტემა იმგვარადაა აწყობილი, რომ რისკების მართვის ეფექტურ ინსტრუმენტად გამოდგება. რისკების მართვის პროცესები აგებულია იმგვარად, რომ მხარს უჭერს რისკების სტრატეგიის ყოველდღიურად შესრულებას ისე, რომ რისკების მართვა გამჭვირვალობის და რისკების შემცირების მუდმივ პროცესად იქცეს. ამ ამოცანების შესრულებისას, რისკების მართვა დაყოფილია ხუთ პროცესად: გამოვლენა, შეფასება, კონტროლი დარეპორტება და მართვა/გამოწვევა. ყველა მატერიალური რისკი, ფინანსური და არაფინანსური, მათ შორის საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, ლიკვიდობის, საზედამხედველო და

რეპუტაციული რისკები, რომლებიც ფინანსური ბიზნესის თანმდევი რისკებია, სპეციალიზებული რისკების მართვის პროცესებით იმართება. რისკების და კაპიტალის მოთხოვნის რაოდენობრივი გამოსახვის მოდელირების და გაზომვის მიდგომა ყველა მატერიალური რისკის ტიპებზე ხორციელდება.



**რისკის აპეტიტი და რისკების ძირითადი ტიპები**

რისკის მადა რისკის ის ოდენობაა, რომლის ასაღებად, ასატანად ან წინაშე დასადგომად ორგანიზაცია მზადაა ნებისმიერ დროს. ცხადია, ბანკის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი რისკის ნულამდე შემცირება შეუძლებელია, თუმცა, ხარჯების და შედეგების სათანადო ანალიზზე დაყრდნობით, ბანკმა უნდა შეიმუშაოს მისი რისკების ტოლერანტობის ჩარჩო.

თითოეული მატერიალური ტიპის რისკის მართვა ბანკის რისკების ჩარჩოს ნაწილია. ბაზისბანკის რისკის აპეტიტი ჩამოყალიბებულია ლიმიტების სისტემაში, რომელიც ბანკს საშუალებას აძლევს, მუდმივი მონიტორინგი გაუწიოს რისკების ფაქტორებზე მის პოზიციებს. ლიმიტების სისტემა ითვალისწინებს ყველა შესაბამის რისკის ტიპს, რომლებიც „კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის“ (ICAAP) პროცესებითაა განსაზღვრული.

რისკების ლიმიტებს ადგენს დირექტორატი, რომლებიც თავის მხრივ შესაბამისობაში უნდა იყოს სტრატეგიული დაგეგმვის მიზნებსა და სხვა მოთხოვნებთან (მათ შორის კანონის მოთხოვნები კაპიტალსა და ლიკვიდობაზე; ჯგუფის დონის/მფლობელის მოთხოვნები). ბანკი სისტემურად ახორციელებს რისკების შეფასებას, სტრესტესტების და ICAAP-ის განსაზღვრული სხვა პროცედურების საშუალებით. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის, ლიკვიდობის პოზიციის გაანგარიშება, საბაზრო რისკების შეფასება ხდება რეგულარულად, ბენჩმარკის ანალიზის ან სხვა უფრო მკაცრი სტრესტესტების მეშვეობით.

ბაზისბანკის რისკების რუკა ასახავს ICAAP სისტემის საშუალებით ბანკში შეფასებული ყველა რისკის ტიპის სრულ სურათს. თითოეულ რისკის ტიპისთვის განისაზღვრება და დგინდება რომელი მეთოდოლოგიური მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული რისკის შესამცირებლად.

თუ რისკი მიიჩნევა მნიშვნელოვნად, და ამასთანავე შესაძლებელია მისი რაოდენობრივად გამოსახვა, ბანკმა უნდა განსაზღვროს რისკის გადასაფარად საჭირო შესაბამისი კაპიტალი და შეიმუშაოს ამ კაპიტალის გაანგარიშების შიდა მეთოდოლოგია. სხვა მნიშვნელოვანი რისკის ტიპები, რომლებიც რაოდენობრივად ვერ გამოისახება, უნდა დარეგულირდეს შიდა პროცესებით. შიდა პროცესების მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს პოტენციური ზარალი ისეთი ტიპის რესკებიდან, რომელთა რაოდენობრივი გამოსახვა და შესაბამისად რაოდენობრივი მახასიათებლების მისადაგება ვერ ხერხდება. არ არსებობს განსაკუთრებული მიდგომა ისეთი რისკებისთვის, რომლებიც არარეგულარულად იქნება მიჩნეული.



ICAAP-ის რეგლამენტით, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, ხდება ყველა ტიპის რისკის შეფასება და ისეთი რისკის პოზიციების გამოვლენა, რომლებიც მანამდე შეფასებული იყო როგორც ბანკისთვის დაბალი რისკის მატარებელ პოზიციებად; თუ დადგენა, რომ მოხდა ამ რისკის პოზიციებში მნიშვნელოვანი ცვლილება, ახალი რისკის სათანადოდ უნდა იქნას ასახული და დარეგულირებული.

### რისკების ძირითადი ტიპები: გამოვლენა და შეფასება

ჯგუფი ვალდებულია ჰქონდეს რისკების მართვის ყოვლისმომცველი პროცესი, რომელიც ეფექტურად გამოავლენს, გაზომავს, დააკვირდება და გააკონტროლებს ყველა რისკის პოზიციას, რადგან ჯგუფს სურს თავიდან აიცილოს მოგების და წმინდა ღირებულების მკვეთრი ცვლილებები, რომლებიც შედეგად მოსდევს კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებას და/ან არასწორ კორპორაციულ გადაწყვეტილებებს. ჯგუფი განუხრელად იცავს პრინციპს, ჰქონდეს ადეკვატური, კარგად დამუშავებული ბიზნეს-სტრატეგია, რითაც შეამცირებს პოტენციურ რისკებს, და ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკები მართოს რისკების ადრეული გამოვლენის სისტემების შემუშავებით და შიდა პროცესებისა და პროცედურების საშუალებით, რითაც უზრუნველყოფს, რომ ბანკის ყოველდღიური ბიზნეს-საქმიანობის გადაწყვეტილებები და ქმედებები რისკების გათვალისწინებით იქნება მიღებული და გატარებული.

ბანკის დონეზე ჯგუფი აკონტროლებს შემდეგ რისკებს:

**ფინანსური რისკი შედგება საკრედიტო, საბაზრო** (ეს უკანასკნელი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და ფასის რისკს) და ლიკვიდობის რისკისაგან. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის უპირველესი ამოცანა რისკების ლიმიტების დადგენა და ამ ლიმიტების ფარგლებში შესაბამისი რისკების პოზიციების შენარჩუნებაა.

**საკრედიტო რისკი** - ჯგუფისთვის, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, დამახასიათებელია საკრედიტო რისკი. ეს ის რისკია, როცა ფინანსური ტრანზაქციის მონაწილე ერთ-ერთი მხარე ვერ შეასრულებს მის მოვალეობას, რითაც კონტრაგენტის ფინანსურ ზარალს იწვევს. საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიშობა ჯგუფის საკრედიტო საქმიანობის და პარტნიორობთან განხორციელებული სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსურ აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული გარებალანსური ვალდებულებების გაჩენას. ცხადია, საკრედიტო რისკი ბანკებისთვის და ბანკების საზედამბებლო ორგანოებისთვის უმნიშვნელოვანესი რისკია. ბანკის საკრედიტო სტრატეგია დივერსიფიცირებული და მომგებიანი საკრედიტო პორტფელის შექმნა და ამასთან მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნებაა.

**საკრედიტო რისკის მართვა** - რისკების მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსური პროცესია და მოითხოვს მოდელის გამოყენებას, რადგან რისკი ცვალებადია და დამოკიდებულია ბაზრის პირობებზე, მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობაზე და დროის ფაქტორზე. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს აქტივის შესაძლო დეფოლტის, დეფოლტთან დაკავშირებული ზარალის დონის და კონტრაგენტებს შორის დეფოლტის კორელაციების წინასწარ შეფასებას.

ბაზისბანკში საკრედიტო რისკების მართვა რამდენიმე სახის საქმიანობას გულისხმობს, რომლებიც ბანკის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.

**საკრედიტო რისკების მართვის სათანადო გარემოს შექმნა** - ბაზისბანკში ამ საკითხს არეგულირებს საკრედიტო პოლიტიკა და დაკრედიტების სახელმძღვანელო. ეს ფორმალიზებული დოკუმენტი განსაზღვრავს და არეგულირებს პორტფელის სტრუქტურას, საფასო და არასაფასო პირობებს, ლიმიტების სტრუქტურას, მავტორიზებელ ორგანოებს და გამონაკლისების დამუშავების პროცესს და მენეჯმენტის ანგარიშგებას.

ჯგუფი ახდენს მის მიერ აღებულ საკრედიტო რისკის დონის სტრუქტურირებას, მაგალითად, ერთი მსესხებლის, ან მსესხებელთა ჯგუფის, ან გეოგრაფიული და ბიზნეს სეგმენტების მიმართ კონცენტრაციის ლიმიტების მეშვეობით. პროდუქტის და სექტორის მიხედვით საკრედიტო რისკის დონის ლიმიტები

რეგულარულად განიხილება და მტკიცდება მენეჯმენტის მიერ. ასეთი რისკები ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს და ყოველწლიურ ან უფრო ხშირ განხილვას.

საკრედიტო რისკი, როგორც პორტფელის, ისე ტრანზაქციების დონეზე, იმართება საკრედიტო კომიტეტების სისტემის მეშვეობით, რაც ეფექტიან გადაწყვეტილებების მიღებას უწყობს ხელს. საკრედიტო კომიტეტების იერარქია ითვალისწინებს პროდუქტის ტიპს და რისკის პოზიციის განსაზღვრულ ოდენობას. როცა კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯერი მიიღებს სასესიო განაცხადს, ის გადაეცემა შესაბამის საკრედიტო კომიტეტს, რომელიც ამტკიცებს კრედიტის ლიმიტს.

**კრედიტის გაცემის ჯანსაღი პროცესი** - ბაზისბანკში ეს გულისხმობს მთელი რიგი ელემენტების გათვალისწინებას კრედიტის გაცემის დროს. საკრედიტო პოზიციიდან და საკრედიტო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს ელემენტები მთელ რიგ ფაქტორებს მოიცავს, მაგალითად, როგორცაა კრედიტის მიზნობრიობა, გადახდის წყაროები, მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე რისკის პროფილი, უზრუნველყოფა და მისი სენსიტიურობა ეკონომიკაში და ბაზარზე მიმდინარე მოვლენებისადმი, მსესხებლის გადახდების ისტორია და ამჟამად არსებული გადახდისუნარიანობა, ისტორიული ფინანსური ტრენდები და ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზები. საკრედიტო ანალიზის დროს ყურადღება ექცევა მსესხებლის ბიზნეს-ექსპერტიზას, მსესხებლის ეკონომიკის სექტორს და მის პოზიციას სექტორში. ეს ელემენტები წარმოადგენენ კონტრაგენტისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭების მოდელის შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც საცალო და კორპორაციული ბიზნეს მიმართულებებისთვის შემუშავდა. კორპორაციული და საცალო დაკრედიტების დეპარტამენტები მონაწილეობას იღებენ კლიენტის საკრედიტო რისკის შეფასებაში; მსესხებელი ფიზიკური პირებისთვის ბანკმა შეიმუშავა გამარტივებული შეფასების მოდელი, რომელიც მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის და წარსულში განხორციელებული გადახდების ისტორიის ანალიზის შედეგად, ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს მსესხებლის კრედიტის დაფარვის უნარი. საცალო და კორპორაციული კლიენტებისთვის ქულების მინიჭება ძირითადად ხდება კრედიტის დამტკიცების პროცესში ფასწარმოქმნის მიზნით: თითოეული სესხის ფასწარმოქმნა კორექტირდება კლიენტის ქულის და პროდუქტის რისკიანობის გათვალისწინებით.

**საკრედიტო რისკების შეფასების სარეიტინგო სისტემა** - საკრედიტო რისკის შეფასების და ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საკრედიტო რისკის მინიჭების მიზნით, ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სისტემას. შიდა სარეიტინგო სისტემა გამოყენება იურიდიული პირების შეფასებისას, ხოლო, სხვა შემთხვევებში, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ (Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's) განსაზღვრულ საერთაშორისო რეიტინგები, რომლის მიხედვითაც ხდება ცენტრალური მთავრობების და მათ მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების, ბანკების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების და სხვა ფინანსური აქტივების შეფასება.

**რისკების შემცირება და ნარჩენი რისკი** - საკრედიტო რისკის პოზიციის მართვა, ნაწილობრივ შესაძლებელია უზრუნველყოფის, ან და კორპორაციული და პერსონალური გარანტიებით მიღებით საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით. უზრუნველყოფით დაფარვის ლიმიტები სხვადასხვაა პროდუქტების ტიპის და მსესხებლების სეგმენტის მიხედვით. უზრუნველყოფის ნარჩენი რისკის შესამცირებლად, უზრუნველყოფის დაფარვის კალკულაციისას დაკრედიტების პროცესში და პორტფელის მართვისას ბანკი იყენებს დისკონტებს საბაზრო ღირებულების მიმართ. ჯგუფი ახდენს უზრუნველყოფის შეფასებას სესხის გაცემის დროს. ჯგუფი ყოველწლიურად ახდენს იმ სესხების უზრუნველყოფაში ჩადებული უძრავი ქონების გადაფასებას, რომლებიც 100 უმსხვილესი მსესხებლის ჯგუფში შედის საანგარიშო პერიოდისთვის არსებული საბალანსო ღირებულებების მიხედვით. 100 უმსხვილესი მსესხებლის ჯგუფების გარდა, სესხებზე საბალანსო ღირებულებით 100 ათასი ლარზე ზემოთ, ჯგუფი მოითხოვს უძრავი ქონების უზრუნველყოფის ხელახალ შეფასებას, შეფასება ასევე ხდება თუ ამავე უზრუნველყოფით გაიცემა ახალი სესხი ან გაცემული ვალდებულების რესტრუქტურირება მოხდა, ან ბოლო შეფასება 1 წელზე დიდი ხნის წინ გაკეთდა. 2022 წლის განმავლობაში ბანკმა მოახდინა სავალდებულო ყოველწლიური გადაფასების ფარგლებს გარეთ დარჩენილი უზრუნველყოფის რეპრეზენტატიული პორტფელის შერჩევითი გადაფასება. აღნიშნულს არ გამოუვლენია ბოლო შეფასების ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილებები. იურიდიული დეპარტამენტი რეგულარულად (სულ მცირე წელიწადში ერთხელ) იხილავს უზრუნველყოფის ხელშეკრულების შაბლონს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები ახალი რეგულაციების მიხედვით ან უზრუნველყოფის რეალიზაციების

შემთხვევებიდან მიღებული გამოცდილების შესაბამისად. საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულებებით სესხის დაფარვის მინიმალური ზღვრები ცალკეულ მსესხებელთა კატეგორიისთვის (არაუზრუნველყოფილი პორტფელის მაქსიმალური ოდენობა).

### რეზერვების შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი აფასებს საკრედიტო რისკს და IFRS 9-ის მიხედვით ქმნის მოსალოდნელი დანაკარგების რეზერვებს. აქტივების და სხვა პირობითი ვალდებულებების დანაკარგების რეზერვები საკმარისი უნდა იყოს ბანკის საკრედიტო პორტფელში ყველა მოსალოდნელი დანაკარგის დასაფარად. ზარალის რეზერვის გამოთვლების ფარგლებში გაითვალისწინება რისკის შემდეგი ძირითადი პარამეტრები: (ა) კონტრაქტორის მხრიდან დეფოლტის (PD) ანუ მის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა; ბ) მოსალოდნელი დანაკარგები კონტრაგენტის (LGD) და პოზიციის (EAD) დეფოლტის შემთხვევაში. საპროგნოზო ინფორმაცია შედის საბოლოო ECL (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის) შეფასებაში. IFRS9 ფინანსურ ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს უფრო ზუსტად შეაფასონ საკრედიტო ზარალის რეზერვები მომავალი პერსპექტიული ინფორმაციის შეტანის საშუალებით, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ECL შეფასების მიდგომა IFRS 9-ით გულისხმობს ECL-ის შეფასების პროცესში წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობების და მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზების გათვალისწინებას. ბანკმა შიდა გაუფასურების მოდელებში შეიტანა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური პროგნოზები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების პროცესის მართვა ფინანსური ანგარიშგების და რისკის ფუნქციებს შორისაა განაწილებული. ჯგუფი რეგულარულად გადასინჯავს თავის მეთოდოლოგიას და დაშვებებს, რათა შემცირდეს რაიმე განსხვავება შეფასებებსა და რეალურ საკრედიტო დანაკარგს შორის. IFRS9-ის მიხედვით, ყველა გამოყენებული პარამეტრისა და მნიშვნელოვანი დაშვების ვალიდაცია და უკუტესტირება ECL შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია. მეორდება ECL-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიის უკუტესტირების შედეგები ეცნობება ჯგუფის მენეჯმენტს და მოდელებისა და დაშვებების დახვეწის შემდგომი ნაბიჯები განისაზღვრება ავტორიზებულ პირებს შორის განხილვის შემდეგ.

2022 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჩაატარა IFRS 9-ის გაუფასურების მოდელში გამოყენებული დაშვების, ზღვრების და რისკის პარამეტრების უკუტესტირება, რათა შეეფასებინა 2022 ფინანსური წლის პროგნოზების ადეკვატურობა წინა წლის ბოლოს გაკეთებული IFRS9-ის გაუფასურების მოდელების შეფასების მიხედვით. შესრულებული უკუტესტირების შედეგების საფუძველზე ცვლილებები საჭიროდ არ ჩაითვალა: ბანკის მიერ გამოყენებული მოდელები ECL-ის ადეკვატურ პროგნოზს აკეთებენ.

**სტრეს-ტესტირება** - ბანკი რეგულარულად ახორციელებს სტრესტესტირებას არასახარბიელო მაკროეკონომიკური მოვლენების, ასევე ბანკისთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული მოვლენების გავლენის შესაფასებლად საზეადამხედველო კაპიტალის ბუფერებზე და ზოგადად ბანკის შედეგებზე როგორც მთლიანი ბანკის მაშტაბით, ასევე მისი საქმიანობის სხვადასვა სფეროსთვის ცალკეულად. სტრესტესტირება რისკების შეფასების და მართვის ეფექტური მექანიზმია: ის ხელს უწყობს კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებას და სასარგებლოა არასახარბიელო ცვლილებებისას კაპიტალის დამატებითი ბუფერების შექმნის საჭიროების დასადგენად. სტრესტესტირება სხვა მოვლენებთან ერთად ითვალისწინებს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის ისეთ მოვლენებს, როგორცაა რეცესია, ვალუტის კურსის მერყეობა, დასაქმების დონის შემცირება; ასევე ბანკი ახორციელებს სექტორისთვის დამახასიათებელი სტრესტესტირება, რომელშიც გათვალისწინებულია საექსპორტო ბაზრების დახურვა (პოლიტიკური რისკები), რამდენიმე დიდი პოზიციის დეფოლტი.

**კრედიტის ადმინისტრირების, შეფასების და მონიტორინგის პროცესის** სათანადოდ მართვა გულისხმობს ცალკეულ მსესხებელთან დაკავშირებული რიგი ძირითადი ფაქტორების რეგულარულ მონიტორინგს. ეს ფაქტორებია: მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, არსებული კოვენანტების შესრულება, უზრუნველყოფით დაფარვის კოეფიციენტი და ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდების ისტორია და ვადაგადაცილებები. ეს ასევე გულისხმობს მთლიან სასესხო პორტფელში მსესხებელთა კონკრეტული ტიპების პოზიციის წილის მონიტორინგს, რისკების კონცენტრაციის თავიდან აცილების



მიზნით. ასეთ კონცენტრაციას ადგილი აქვს, როცა არსებობს პირდაპირი ან არაპირდაპირი სესხების მაღალი ღონე ერთ კონტრაგენტზე, ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ჯგუფზე, ან კონკრეტულ ინდუსტრიაზე ან ეკონომიკის სექტორზე.

**პორტფელის ხარისხის შესახებ სათანადო ანგარიშგების წარმოება** - საკრედიტო რისკის მართვის ჯგუფი, თავის კონტროლის ფუნქციის ფარგლებში, რეგულარულად იცავს საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულ პორტფელის ხარისხს და დაკრედიტების ლიმიტებს და შემდეგ პორტფელის შესახებ ანგარიშგების სახით წარუდგენს ბანკის მენეჯმენტს. პორტფელის შესახებ ანგარიში მოიცავს ინფორმაციას პორტფელის განაწილების შესახებ სარეიტინგო კლასების მიხედვით, ასევე ინფორმაციას ვადაგადაცილებული თანხების, სექტორების მიხედვით პოზიციების და HHI ინდექსის, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების (LGD) და დეფოლტის ალბათობის (PD) დინამიკის შესახებ და ა.შ. ფინანსური ანგარიშგების და რისკების დეპარტამენტების თანამშრომლები საკრედიტო რისკის პოზიციის მონიტორინგის მიზნით ამზადებენ რეგულარულ ანგარიშგებას კლიენტის ბიზნესის და ფინანსური შედეგების სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე. გაუარესებული გადახდისუნარიანობის მქონე კლიენტებთან დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ ინფორმაცია განსახილველად მიეწოდება რისკების კომიტეტს, დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს.

**საბაზრო და ლიკვიდობის რისკების მართვას ახორციელებს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO)** ხაზინის დეპარტამენტთან და საერთო რისკების მართვის დეპარტამენტთან ერთად. ხაზინის დეპარტამენტი მონიტორინგს ახორციელებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან რეგულარული შეხვედრების საშუალებით. ამ შეხვედრების დროს ხაზინა თანამშრომლებისგან იღებს ექსპერტულ რეკომენდაციას თავიანთი სფეროების შესახებ, ახორციელებს ლიკვიდობის გეპების, სტრუქტურული საპროცენტო განაკვეთების პოზიციების ყოველდღიურ კონტროლს, და მართავს და აკონტროლებს უცხოური ვალუტის რისკის პოზიციას.

**საბაზრო რისკის** - ყველაზე გავრცელებული გამომწვევი მიზეზები საპროცენტო განაკვეთების და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების რისკებია.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი** არის ინსტიტუტის მოგების და კაპიტალის მიმდინარე ან სამომავლო რისკი, რომელიც საპროცენტო განაკვეთის არასახარბიელო ცვლილებებითაა გამოწვეული. საკრედიტო ინსტიტუტის პერსპექტივიდან, საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოიშვას როგორც სავაჭრო პორტფელისგან, ისე საბანკო ტრანზაქციებისგან (ტრადიციული საკრედიტო/სადეპოზიტო და საინვესტიციო ტრანზაქციები).

ბანკისთვის დამახასიათებელი საპროცენტო განაკვეთის რისკებია:

- გადაფასების რისკი, რისკი რომელიც წარმოიშვება მისაღები შემოსავლების და გადასახდელი ხარჯების ვადიანობის სხვადასხვა სტრუქტურისგან, ასევე სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების ან სხვადასხვა პერიოდებზე დაფუძნებული ფასწარმოქმნიდან; გადაფასების რისკი წარმოიშობა, როცა აქტივების და ვალდებულების ვადების სტრუქტურა არაა თანხვედრაში და როცა ფასწარმოქმნა სხვადასხვა ინტერვალებში ან სხვადასხვა საფუძვლის მქონე საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება (მაგალთად, მისაღები შემოსავლები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და ვალდებულებები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით).
- შემოსავლიანობის მრუდი, ანუ შემოსავლის მრუდის ფორმის და დახრილობის ცვლილებებით გამოწვეული რისკი.

**სავალუტო რისკი** წარმოიშობა კონკრეტულ ვალუტაზე ღია ან არასრულყოფილად ჰეჯირებული პოზიციებიდან გაცვლითი კურსების მოულოდნელი ცვლილებების შედეგად (რომელმაც შეიძლება ბაზრის მონაწილის ადგილობრივი ან საანგარიშგებო ვალუტის დანაკარგები გამოიწვიოს).

ბანკში დაწესებული საბაზრო რისკის ზედამხედველობა და კონტროლი, რათა უზრუნველყოფილ იქნას საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკის გრძელვადიანი და ყოველდღიური მართვის მიზნით შემუშავებული ბანკის პოლიტიკებისა და პროცედურების ადეკვატურობა და დაცულ იქნას საბაზრო რისკის მართვის და კონტროლის უფლებამოსილების და პასუხისმგებლობის მკაფიო ზღვარი. ბანკს გამართული აქვს

საპროცენტო განაკვეთის ანგარიშების და შემოწმების ყოვლისმომცველი პროცესი, ასევე ეფექტური შიდა კონტროლები; ბანკი აწესებს შესაბამის ლიმიტებს რისკის აღებაზე, ქმნის რისკების და შედეგების გაზომვის, პოზიციის შეფასების და ვალიანობის გეგმების გადაფასების ადეკვატურ სისტემებს და სტანდარტებს.

**ლიკვიდობის რისკი** არის ბანკის უუნარობის რისკი, ჯეროვნად შეასრულოს მისი ფინანსური ვალდებულებები ჩვეულებრივ ან სტრესულ პირობებში. ლიკვიდობა არის ბანკი უნარი, დააფინანსოს აქტივების ზრდა და შეასრულოს ვალდებულებები მათი ვადის დადგომისას ისე, რომ არ გასწიოს მიუღებელი დანაკარგები. ბანკების როლი მოკლევადიანი დეპოზიტების გრძელვადიან სესხებად ტრანსფორმაციის პროცესში, ბანკს თავიდანვე დაუცველად აქცევს ლიკვიდობის რისკის წინაშე, ეს კი მთლიანად ბაზრებზე ახდენს ზეგავლენას. ფაქტობრივად ყველა ფინანსური ტრანზაქცია ან ვალდებულება გავლენას ახდენს ბანკის ლიკვიდობაზე. ლიკვიდობის რისკის ეფექტური მართვა ბანკს ეხმარება ფულადი ნაკადების მოძრაობის ვალდებულებების შესრულებაში. ამ ვალდებულებების ოდენობის წინასწარ ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან მათზე ზეგავლენას ახდენს გარე მოვლენები და ფინანსური ბაზრის სხვა აგენტების ქცევა.

ბანკი იყენებს ლიკვიდობის მართვის ბაზელ 3-ით გათვალისწინებულ მეთოდოლოგიას და სხვა შიდა შეფასების მოდელებს, რომლებიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით შემუშავდა. ბანკი ლიკვიდობას მართავს ALM (Asset and Liability Management აქტივ-პასივების მართვა) პოლიტიკის და ლიკვიდობის მართვის რეგულაციის თანახმად, რომელშიც მოცემულია ლიკვიდობის მართვის დეტალური პროცესები და ლიკვიდობასთან დაკავშირებული ლიმიტების სისტემა. (კუმულატიური ვალიანობის შესაბამისობის ლიმიტი, LCR (ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, NSFR წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი).

ლიკვიდობის მართვის პროცესი მოიცავს: ლიკვიდობის მოთხოვნების დადგენას და ხელახლა შეფასებას ბანკის აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურულიდან და ბაზრის ზოგადი პირობებიდან გამომდინარე; ლიკვიდობის რისკის შესაბამისი ლიმიტების შემუშავებას და კონტროლს; დაფინანსების სტრუქტურისა და შესაბამისობის მოცულობის, დაფინანსების მოპოვების უნარის და ა.შ. განსაზღვრას; ლიკვიდობის პროგნოზირებას ნორმალურ სამუშაო პირობებში და სტრესული სიტუაციის ქვეშ; გაუთვალისწინებელი მდგომარეობის გეგმის შემუშავებას, რაც გულისხმობს საგანგებო სიტუაციების დროს ლიკვიდობის დანაკლისის შევსების სტრატეგიების შემუშავებას.

**საოპერაციო რისკი** განისაზღვრება, როგორც ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური შიდა პოლიტიკით, სისტემისა და კონტროლის წარუმატებლობით, ადამიანური შეცდომებით, თაღლითობის ან მენეჯმენტის წარუმატებლობით, გარე მოვლენებითა და ბუნებრივი კატასტროფებით. ბანკი არაერთი საოპერაციო რისკის წინაშე დგას, მათ შორისაა შიდა და გარე თაღლითური აქტივობები, პროცესების, პროცედურების ან კონტროლის დარღვევა; და სისტემის გაუმართაობა გარე მხარის მხრიდან, რომლის მიზანია ბანკის დამხმარე ინფრასტრუქტურა მიუწვდომელი გახადოს შესაბამისი მომხმარებლებისთვის, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება საფრთხე შეუქმნას სენსიტიურ ინფორმაციას და ბანკის, მისი კლიენტების, კონტრაგენტების ან კლიენტების ფინანსურ ტრანზაქციებს. გარდა ამისა, ბანკი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც იწვევს კრიტიკული ფუნქციების შემსრულებელი სისტემების შეფერხებას, და რომელიც წარმოიქმნება მის კონტროლს მიღმა მოვლენებით, რამაც ბანკს შეიძლება მიაყენოს ზარალი ან კლიენტების მომსახურების შემცირება და/ან ფინანსური ზარალი.

ზემოთ განხილული რისკები ასევე აქტუალურია, როდესაც ბანკი ეყრდნობა მომსახურების გარე მომწოდებლებს, რადგან ბანკს შეიძლება არ ჰქონდეს პირდაპირი კონტროლი მესამე მხარის მიერ შესრულებულ საქმიანობაზე.

საბანკო სერვისების სწრაფად ცვალებადი გარემოს მასშტაბისა და სირთულის, ასევე მასთან დაკავშირებული შესაძლო საოპერაციო რისკების გათვალისწინებით, პროცესების, პროცედურების, კონტროლისა და სისტემების გაუმჯობესების მნიშვნელობა გადამწყვეტია რისკის პრევენციის უზრუნველსაყოფად. საოპერაციო რისკის ზედამხედველობისა და შერბილების მიზნით, ბანკმა დააწესა საოპერაციო რისკის მართვა სამ დონეზე: ბიზნეს ერთეულების/დეპარტამენტების დონეზე, საოპერაციო რისკების მართვის

დონეზე და შიდა აუდიტის დონეზე. ოპერატიული რისკის მართვის განყოფილება მოქმედებს როგორც დაცვის მეორე ხაზი.

ბანკის საოპერაციო რისკების პოლიტიკა ქმნის საოპერაციო რისკების გამოვლენის, შეფასების და მართვის ყოვლისმომცველ სისტემას. იგი შემუშავებულია 2011 წლის ივლისში გამოცემული ბაზელის კომიტეტის „საოპერაციო რისკების ჯანსაღი მართვის პრინციპები“ და ბანკის საერთო რისკის სტრატეგიის შესაბამისად. პოლიტიკა ასევე ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს (2014 წლის 13 ივნისის „კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის დებულება,). ის ბანკის რისკების მართვის საერთო საქმიანობის ნაწილია და განსაზღვრავს რისკების მართვის მთავარ პრინციპებს და ინსტრუმენტებს, აღწერს, თუ როგორ უნდა მოხდეს საოპერაციო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი ან შერბილება, რაც ბანკის რისკების მართვის შესაბამის პოლიტიკაში უნდა აისახოს. ის მიზნად ისახავს ბანკის საქმიანობაში საოპერაციო რისკის მართვის ჯანსაღი და ეფექტური პრაქტიკის ჩამოყალიბებას. პოლიტიკა პასუხისმგებელია საოპერაციო რისკის პოლიტიკისა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე, რათა ბანკმა შეძლოს საოპერაციო რისკების მართვა, აგრეთვე ადგენს საოპერაციო რისკების მონიტორინგს, რისკის აპეტიტის მიმართ რისკების და მატერიალური კონტროლის საკითხებს. პოლიტიკით განსაზღვრულია საოპერაციო რისკების გამოვლენის, შეფასების, მონიტორინგის, კონტროლის და შემცირების პრინციპები. იქმნება საოპერაციო რისკების გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის სისტემა და მუშავდება გაუთვალისწინებელი სიტუაციების და ბიზნესის უწყვეტობის გეგმები, რათა ბანკს ჰქონდეს უნარი, განაგრძოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ბიზნესის მკვეთრი ხელისშემშლის შემთხვევაში მინიმუმამდე დაიყვანოს დანაკარგები. პოლიტიკა და სტანდარტები შესაბამისი მმართველობითი ორგანოების მიერ მუდმივად მუშავდება და მტკიცდება, რათა ისინი შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან და შიდა ქსელების საშუალებით ყველა შესაბამისი თანამშრომლისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

ბანკმა დაიწყო რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების (RCSA) პროცესის დანერგვა, რომელიც საშუალებას იძლევა გამოავლინოს, გააანალიზოს, შეაფასოს და შეისწავლოს საოპერაციო რისკების სხვადასხვა შემარბილებელი გეგმები და შესაბამისი კონტროლი, რაც უზრუნველყოფს იმის გონივრულ გარანტიას, რომ ყველა ბიზნეს მიზანი შესრულდება.

გარდა ამისა, აუთოსორსინგის რისკის მართვის პოლიტიკის ამოქმედება საშუალებას აძლევს ბანკს გააკონტროლოს აუთოსორსინგის (მიმწოდებლის) რისკი, რომელიც წარმოიქმნება არასასურველი მოვლენებით და რისკის კონცენტრაციით, რომელიც თავს მხრივ გამოწვეულია ვენდორის შერჩევის წარუმატებლობით, ვენდორზე და/ან მომწოდებლის მიერ მიწოდებულ სერვისებზე არასაკმარისი კონტროლით და ზედამხედველობით და სხვა ზემოქმედებით ვენდორზე.

გარდა ამისა, საოპერაციო რისკების მართვის ფუნქციის ჩართვა ახალი პროდუქტებისა და სერვისების დამტკიცების პროცესში, რათა შემცირდეს მათთან დაკავშირებული რისკები.

ბანკები ციკლურად ავლენენ და ხელახლა აფასებენ კრიტიკულ ბიზნეს პროცესებს, როგორც ძირითად შიდა და გარე დამოკიდებულებებს. გამოვლენილი სიცოცხლისუნარიანობის სცენარები ფასდება მათი ფინანსური, ოპერაციული და რეპუტაციის ზემოქმედების მიხედვით, შედეგად მიღებული რისკის შეფასების საფუძველზე კი ყალიბდება რეაბილიტაციის მიზნები და სარეაბილიტაციო გეგმა.

ოპერაციულ რისკებთან დაკავშირებული როლებისა და პასუხისმგებლობების დაცვის სამ ხაზს შორის ეფექტური გათანაბრებით ბანკი ახორციელებს რისკების და მასთან დაკავშირებული კონტროლების გამოვლენას, მონიტორინგს, გაანგარიშებას, დარეპორტებას და მართვას.

**ურთიერთობები მესამე მხარეებთან.** ჯგუფის პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ მესამე მხარეებთან ურთიერთობის ინიციატივები მიჰყვეს განსაზღვრულ პროცესს, მათ შორის დიუ დილიჯენსს, რისკების შეფასებას და მუდმივ მარწმუნებელ საქმიანობას. შემდეგი ასპექტები მხარს უჭერს მესამე მხარის რისკის ეფექტურ მონიტორინგს და მართვას:

ბანკის შიდა აუდიტის ფუნქცია, რისკზე დაფუძნებული მიდგომით, იძლევა რისკების მართვის, შიდა კონტროლისა და სისტემების ადეკვატურობისა და ეფექტურობის გარანტიას. საოპერაციო რისკებს ყოველკვარტალურად განიხილავს რისკების კომიტეტი.

საოპერაციო რისკების მართვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაძლო დარღვევებს ავლენს მომხმარებელთა საჩივრების და ოპერატიული რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზების ანალიზის საშუალებით და ოპერაციულ პრაქტიკაში პერსონალური მონაცემების დაცვის გაუმჯობესების და სწრაფად მზარდი ავტომატიზაციის გარემოში პერსონალური ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილების მიზნით ნერგავს ცვლილებებს.

საოპერაციო რისკის გაზომვისა და მართვისთვის იქმნება საოპერაციო რისკის მართვის შესაბამისი გარემო ერთი მხრივ საოპერაციო რისკის, როგორც ბანკის სიჯანსაღესთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკის, შიდა ანგარიშგების გზით, და მეორე მხრივ ოპერაციულად დამოუკიდებელი, ყოვლისმომცველი შიდა აუდიტის ფუნქციის მეშვეობით, რომელიც ხორციელდება შესაბამისად დატრენინგებული და კომპეტენტური თანამშრომლების მიერ.

ბანკი კაპიტალის მოთხოვნის გაანგარიშებისთვის BIA (Basic Indicator Approach საბაზისო ინდიკატორების გაზომვის მეთოდი) მიდგომას იყენებს. ასევე გამოიყენება რისკების შეფასების უფრო განვითარებული მეთოდების ხარისხობრივი ელემენტები, რაც საოპერაციო რისკების უფრო მეტად ამომწურავი მართვის საფუძველს ქმნის.

**ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების რისკი** შეიძლება განიმარტოს, როგორც გაურკვევლობის ეფექტი ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე, სადაც არსებობს შანსი, რომ ინფორმაციული აქტივის ან აქტივების ჯგუფის მოწყვლადობის გამო ზიანი მიადგეს ბანკს. ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების რისკი არის პერსონალური მონაცემების ან სხვა მგრძობიარე ინფორმაციის არასანქცირებული გამოყენების, კიბერთავდასხმების, ფიშინგისა და მონაცემთა მთლიანობის დარღვევის სხვა ფორმების შედეგად გამოწვეული რისკი. იმისათვის რომ დაინტერესებული მხარეების მიერ ბანკისადმი ნდობა შენარჩუნდეს აუცილებელია ბანკის მომხმარებლებისა და პარტნიორების მონაცემებისა და ბანკის საინფორმაციო აქტივების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვა.

რადგან კიბერშეტევები ბოლო წლებში უფრო დახვეწილი და რთული გახდა, მათ მიერ გამოწვეული საფრთხე კიდევ უფრო გაიზარდა. კიბერშეტევმა შესაძლებელია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც წრაფად იცვლება, ამიტომ მუდმივ ყურადღებასა და ბაზარზე საუკეთესო პრაქტიკის ცოდნას მოითხოვს. ბოლო წლებში ბაზისბანკზე არცერთი მნიშვნელოვანი კიბერშეტევის მცდელობა არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ბანკის მზარდი დამოკიდებულება კომპლექსურ IT სისტემებზე ზრდის მის დაუცველობას და კიბერთავდასხმის მიერ გამოწვეულ ზემოქმედებას.

ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების ფუნქცია პასუხისმგებელია ინფორმაციის უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესების მუდმივ გაუმჯობესებაზე, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან/კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და უზრუნველყოს კლიენტებისა და პარტნიორების უსაფრთხოება.

ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩო შექმნილია იმგვარად, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა და სტანდარტები ასახავდეს მზარდ ბიზნესის მოთხოვნებს, მარეგულირებლის მითითებებსა და კიბერ საფრთხეებს. ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების პოლიტიკები და ინსტრუქციები მხარს უჭერს ბანკს ხსენებული პარამეტრების დაცვაში საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით.

ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების ფუნქცია ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი მმართველობის ჩარჩო, პოლიტიკა, პროცესები და ტექნიკური შესაძლებლობები ბანკში შესაბამისი ინფორმაციის უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების რისკის სამართავად. ინფორმაციის უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების ფუნქცია მუშაობს ყველა ბიზნეს განყოფილებასთან/ერთეულთან და ბანკის ყველა თანამშრომელთან, რათა უზრუნველყოს ბანკის სისტემების დაცვა და უსაფრთხოდ გამოყენება ბანკის ბიზნეს მიზნების მისაღწევად.



წელიწადში ერთხელ მაინც, გარე აუდიტი ატარებს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების სრულ აუდიტს, ისევე როგორც ანალიზებს კიბერუსაფრთხოების ჩარჩოს, რათა შეაფასოს ბანკის შესაძლებლობების ეფექტურობა ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკისა და რეალურ სამყაროში კიბერშეტევის სცენარების გათვალისწინებით, რომელიც დაფუძნებულია შესაბამის რეგიონალურ და სექტორულ პერსპექტივებზე. ამგვარი აუდიტი ბანკს საშუალებას აძლევს ფართოდ დაინახოს არსებული სიტუაცია და გამოწვევები, რაც ხელს უწყობს ინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების სისტემების შემდგომ გაუმჯობესებას. გარდა ამისა, რეგულარულად ტარდება შედარებით ტესტირებები.

წლის განმავლობაში შიდა და გარე აუდიტი და რისკების კომიტეტი ჰარმონიულად მუშაობდნენ ინფორმაციის უსაფრთხოების რისკებზე დაფუძნებული მიდგომის შემუშავებასა და ზედამხედველობაზე. სამუშაო მოიცავდა პოლიტიკისა და დოკუმენტაციის გაუმჯობესებას.

რადგან ბანკის თანამშრომლები ინფორმაციულ უსაფრთხოებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ, მათთვის რეგულარულად ტარდება ტრენინგები, რომელიც მოიცავს უსაფრთხოების საკითხებზე დისტანციური სწავლების კურსს, თაღლითობისა და ფიშინგის სიმულაციებსა და ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილ საინფორმაციო ბროშურებს. ამგვარი ზომები თანამშრომლებს ეხმარება გაიაზრონ საკუთარი პასუხისმგებლობები და მოემზადდნენ სხვადასხვა საფრთხეებისთვის.

**ფულის გათეთრებისა და ტერორისტების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა (AML/CTF), მათ შორის საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობა; მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა (ABC).** ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი: ბაზისბანკმა ფინანსური დანაშაულის მიმართ ჰოლისტიკური მიდგომა შეიმუშავა და შექმნა ჯგუფის ანტიფინანსური დანაშაულის (AFC) ჩარჩო, რომელიც ადგენს შემდეგ ძირითად რისკ-სფეროებზე კონტროლის მოთხოვნებს: AML/CTF, სანქციებთან შესაბამისობა, ABC და ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის თავიდან აცილება. ეს კომბინირებული მიდგომა ბანკს საშუალებას აძლევს უკეთ გაიაზროს მათი რისკის ზემოქმედება და პრიორიტეტად აქციოს მენეჯმენტის ფოკუსი. AFC-ის ჩარჩოს შესაბამისად, ბაზისბანკი იყენებს ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზანმიმართული ხელშეწყობის, ასევე მექრთამეობის, თაღლითობისა და კორუფციის მიმართ.

ბანკის მასშტაბით ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისთვის, ისევე როგორც საერთაშორისო სანქციების მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად, გამოყოფილია დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული - AML/CTF დეპარტამენტი, რომელიც შედგება სამი განყოფილებისგან: KYC, საერთაშორისო სანქციები და ფინანსური მონიტორინგი. AML/CTF/საერთაშორისო სანქციების კონტროლის დროს გამოიყენება შემდეგი ღონისძიებები/ინსტრუმენტები: *იგნობდე შენს კლიენტს* სტანდარტი, კლიენტის წინასწარი შესწავლა - დიუ დილიჯენსი და გაძლიერებული დიუ დილიჯენსი; ML/TF რისკის შეფასება/გადაფასება; ინფორმაციის განახლება რისკის დონის მიხედვით; სანქცირებულთა და PEP სიის მიხედვით სკრინინგი; წითელი დროშის კონტროლი და ა.შ. სანქცირებულთა და PEP სიებში ონლაინ სკრინინგისთვის ბანკი იყენებს LexisNexis- Fircos Compliance Link-ის ავტომატიზირებულ და ყოვლისმომცველ გადაწყვეტას.

ბანკს არ აქვს ტოლერანტობა რაიმე სახის კორუფციის, მოსყიდვის ან თაღლითობის, მიმართ, არც ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების, სანქციების თავიდან აცილების/გვერდის ავლის ან სხვა სახის უკანონო, თაღლითური ან არაეთიკური ქცევის მიმართ. ყველა თანამშრომელი პირადად არის პასუხისმგებელი, დაიცვას ბანკი, მისი რეპუტაცია და საკუთარი თავი მექრთამეობითა და კორუფციით გამოწვეული რისკებისგან და თავიდან აიცილოს შეუსრულებლობის შედეგები. მექრთამეობისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს, წესებს და ქცევის სტანდარტებს, რომლებზეც ბანკის ყოველდღიური საქმიანობაა აგებული, რათა გონივრულად აიცილოს თავიდან, აღმოაჩინოს და დაარეპორტოს მექრთამეობისა და კორუფციული ინციდენტების შემთხვევები კომპანიის მასშტაბით. შიდა აუდიტი, AML/CTF დეპარტამენტი, შესაბამისობის და საოპერაციო რისკების მართვის განყოფილებები პასუხისმგებელი არიან AFC-ის ჩარჩოსთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, რათა შიდა რეგულაციები და მუშაობის პრინციპები ბანკის ყველა საქმიანობაში ინტეგრირდეს.

კორპორატიული შესაბამისობის რისკი არის სანქციების, ფინანსური ან რეპუტაციული ზარალის და სამართლებრივი დავების რისკი, რომლებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს მოქმედი კანონმდებლობისა და ქვეყნის სტანდარტების უგულბელებლობამ. შესაბამისობის რისკების მართვის სისტემა აერთიანებს შესაბამისობის პოლიტიკას, საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი და ნორმატიული აქტების აღწერას, მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის რეგულარულ გადახედვას, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატისთვის მოხსენებას და მენეჯმენტის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობას. შესაბამისობის პოლიტიკის განსახორციელებლად და შესაბამისობის რისკის მართვის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ბანკში შექმნილია შესაბამისობის განყოფილება და AML/CFT დეპარტამენტი. ბანკის ინტეგრირებული კონტროლის ჩარჩოს შესაბამისად, ბანკი ყურადღებით აფასებს თითოეული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილების გავლენას, რაც მისი რისკების ფორმალური იდენტიფიკაციისა და შეფასების პროცესების ნაწილია. სხვა მოვალეობებთან ერთად, განყოფილება ახორციელებს შეუსრულებლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი/შესაძლო რისკების წინასწარ განსაზღვრას, გამოვლენას, შეფასებას და კონტროლს.

ბანკს სურს თავიდან აიცილოს მოგების და წმინდა ღირებულების მკვეთრი ცვლილებები, რომლებიც შედეგად მოსდევს კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებას და/ან არასწორ კორპორაციულ გადაწყვეტილებებს. ჯგუფი განუხრელად იცავს პრინციპს, ჰქონდეს ადეკვატური, კარგად დამუშავებული ბიზნეს-სტრატეგია, რითაც შეამცირებს პოტენციურ რისკებს, და ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკები მართოს რისკების ადრეული გამოვლენის სისტემების შემუშავებით და შიდა პროცესებისა და პროცედურების საშუალებით, რითაც უზრუნველყოფს, რომ ბანკის ყოველდღიური ბიზნეს-საქმიანობის გადაწყვეტილებები და ქმედებები რისკების გათვალისწინებით იქნება მიღებული და გატარებული.

ICAAP-ის ფარგლებში, ბანკი აფასებს სხვა რისკებს, რომლებსაც ბანკი შეიძლება დაექვემდებაროს, ზოგიერთი რისკი აღწერილია ქვემოთ:

**ბიზნესის რისკი** - ნიშნავს მოგებისა და კაპიტალის შემცირების მიმდინარე ან მომავალ რისკს, რომელიც გამოწვეულია ბიზნეს გარემოს ცვლილებებით და არასახარბიელო ბიზნეს-გადაწყვეტილებებით, ან ბიზნესის გარემოში მიმდინარე მოვლენების შეუმჩნევლობით, გადაწყვეტილებების არაადეკვატური შესრულებით, ან კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებით.

ბანკის მხრიდან **გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების მართვა**, ერთი მხრივ, მოიცავს თავად ბანკის მიერ მის ყოველდღიურ საქმიანობაში ბუნებრივი რესურსების ეფიციენტურ მოხმარებასა და ნარჩენების პასუხისმგებლიან მართვას, ხოლო მეორე მხრივ, პასუხისმგებლიანი დაფინანსების (Responsible financing) პრინციპების ინტეგრირებას ბანკის საკრედიტო საქმიანობაში.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დანერგვისა და ეფექტიანად აღსრულების მიზნით, 2018 წელს „ბაზისბანკმა“ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გარემოსა და სოციალური რისკების მართვის საკუთარ პოლიტიკაში და შეიმუშავა Due Diligence-ის და E&S risk assessment (ეკოლოგიური და სოციალური რისკის შეფასების) პროცედურები. ბანკის მიერ ასევე დადგინდა გამონაკლისების სია (Exclusion List), რომლითაც ჩამოთვლილია იმ საქმიანობათა სია, რომლებსაც არ აფინანსებს ბანკი; ამგვარ გამონაკლისებს მიეკუთვნება საქმიანობები, რომლებიც რაღაც ფორმით შეიძლება უკავშირდებოდეს იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოებას/ვაჭრობას, იძულებით და ბავშვთა შრომას, არალეგალურ ფარმაცევტულ პროდუქტებს, პესტიციდებისა და ჰერბიციდების განსაზღვრული ტიპების წარმოებას/ვაჭრობას, აზარტულ თამაშებსა და კაზინოებს და ა.შ. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები ემყარება როგორც საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე საუკეთესო პრაქტიკას და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეკომენდაციებს.

ეკოლოგიური და სოციალური რისკების შეფასების ფარგლებში, ყველა ტიპის ბიზნეს სესხი გადის სტანდარტულ პროცედურას, რომლის ფარგლებშიც ხდება პროექტის გადამოწმება გამონაკლისების სიაში. შემდეგ ეტაპზე კლიენტის მიერ მიწოდებულ მონაცემებზე და დოკუმენტებზე, ადგილზე ვიზიტის შედეგად გაკეთებულ შეფასებებსა და დამოუკიდებელი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხდება

პოტენციური კლიენტის პასუხისმგებლობის და მის მიერ ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვის ხარისხის შეფასება. შეფასებისთვის ბანკი იყენებს IFC's Environmental and Social Performance Standards. ბანკს ასევე შეუძლია კლიენტს დაუდგინოს კოვენანტები, რომლის მიზანიც იქნება კლიენტის ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა (მაგალითად სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გამართვა; შრომის პირობების მოწესრიგება).

**ქვეყნის რისკი** - ნიშნავს იმ შესაძლო დანაკარგებს, რომლებიც გამოწვეულია (ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ.) მოვლენით, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში ხდება. მოვლენა შეიძლება გააკონტროლოს ქვეყნის მთავრობამ, მაგრამ არა კრედიტის გამცემმა/ინვესტორმა. ბანკმა შექმნა ქვეყნის რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რითაც დადგენილია ლიმიტების სისტემა, რომლის მიხედვითაც ქვეყნების საგარეო რეიტინგებზე დაყრდნობით ხდება იმის შეფასება, თუ რამდენად დგას ბანკი ამა თუ იმ ქვეყნის რისკის წინაშე,

**რეპუტაციული რისკი** - შეიძლება გამოწვეულ იქნას საქმიანობის სფეროში დამკვიდრებული მომსახურების სტანდარტების შეუსრულებლობით, აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების და სამართლიანი საბაზრო პრაქტიკის ნაკლებობით, მომსახურების დაბალი ან გაუარესებული ხარისხით, არაგონივრულად მაღალი ხარჯებით, მომსახურების ისეთი სტილით, რომელიც არ შეესაბამება ბაზრის ვითარებას ან კლიენტის მოლოდინს, არასათანადო ბიზნეს-ქცევით ან უფლებამოსილების მქონე პირთა არაკეთილგანწყობილი აზრით ან ქმედებებით.

## საზედამხედველო მოთხოვნები ბაზელი 3-ის მიხედვით

ბაზელი 3-ის მიზანია კაპიტალის, ლიკვიდობის, ბაზრის და რისკებთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების გაძლიერება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ის აწესებს:

- კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს
- ლიკვიდობის მოთხოვნებს
- რისკების კონცენტრაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს
- ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნებს
- ადმინისტრატორთა შესაბამისობასთან და კორპორაციულ მმართველობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს
- გამჭვირვალობასთან და აუდიტთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ბაზელი 3-ის მიხედვით კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები სამ პილარს (სვეტს) ეფუძნება, ესენია: პილარი 1 აწესებს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს, პილარი 2 ეხება საზედამხედველო შემოწმებას, კაპიტალის შეფასების პროცესს და კაპიტალის დამატებითი ბუფერების რეგულირებას, პილარი 3 კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას ეხება.

**პილარი 1-ის** საზედამხედველო სისტემის მარეგულირებელი ჩარჩო განსაზღვრავს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ღირებულებას და ადგენს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკის პოზიციების მიხედვით.

**პილარი 2** - მოიცავს საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესს, რომლის ფარგლებში ეროვნული ბანკი განიხილავს კომერციული ბანკების მიერ დანერგილი რისკების მართვის შესაბამის ღონისძიებებს, სტრატეგიების, პროცესებისა და მექანიზმების და მათ შესაბამისობას ბანკის რისკის პოზიციებთან; კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების შესრულებასთან ერთად, კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას კაპიტალის დამატებითი ბუფერის მოთხოვნები იმ რისკებისათვის, რომელსაც არ მოიცავს პილარი 1, მათ შორის, იმ საბაზრო რისკებისთვის, რომელიც არ შედის პილარ 1-ში - ასე, მაგალითად, კონცენტრაციის რისკებისთვის, საპროცენტო, ლიკვიდობის, სტრატეგიული და რეპუტაციის რისკებისთვის და სხვა.

**პილარი 3** - კომერციულ ბანკებს ევალუბათ უზრუნველყონ გამჭვირვალობის მაღალი დონე, რაც მიზნად ისახავს საფინანსო სექტორის მიმართ ნდობის ამაღლებას და მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას. აღნიშნული რეგულირდება პილარ 3-ის მოთხოვნების მიხედვით და გულისხმობს ბანკის მიერ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის გამოქვეყნებას - კაპიტალის ადეკვატურობის, კორპორაციული მართვის, რისკების კონცენტრაციის და მართვის სტრანდარტების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, ასევე შიდა პროცესებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნებას.

### საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები

პილარ 1-ის ფარგლებში, კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება შემდეგნაირად::

o ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 1 (CET 1)	4.50%
o პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	6.00%
o საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	8.00%

**ძირითადი პირველადი კაპიტალის მოთხოვნა** შეადგენს 4.5%, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის პირველ წყაროს, ანუ სააქციო კაპიტალს, რომელიც მოიცავს - ჩვეულებრივ აქციებს და დამატებით რეზერვებს (დამატებითი სახსრები, რომლებიც წარმოიქმნება ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების ემისიით; და აკუმულირებულ რეზერვებს/ გაუნაწილებელ მოგებას) საზედამხედველო კორექტირებების გამოკლებით.



დამატებითი პირველადი კაპიტალი წარმოადგენს არაუზრუნველყოფილ, უვადო კაპიტალის ინსტრუმენტებს, რომლებსაც არ გააჩნია ზრდადი საპროცენტო განაკვეთი, სუბორდინირებულია დეპოზიტორების, არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისა და კომერციული ბანკის ვალის მიმართ და მასზე არ ვრცელდება რაიმე სახის იურიდიული ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნას უპირატესობას ანიჭებს კომერციული ბანკის კრედიტორებთან მიმართებაში და ბანკი ინარჩუნებს დივიდენდის/კუპონის გადახდის შეჩერების უფლებამოსილებას. ასეთ პირველადი კაპიტალით, საზედამხედველო კორექტირებების გათვალისწინებით, უნდა გადაიფაროს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მინიმუმ 6%.

**საზედამხედველო კაპიტალი** - კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა განისაზღვრება მისი საზედამხედველო კაპიტალით, რომელიც შედგება ძირითადი და დამატებითი პირველადი კაპიტალის ელემენტებისგან და მეორადი, სალიკვიდაციო კაპიტალის ჯამისაგან.

მეორადი კაპიტალი (სალიკვიდაციო) - მოიცავს გარკვეული სახის სუბორდინირებულ ინსტრუმენტებს, არაუზრუნველყოფილ ფასიან ქაღალდებს, გრძელვადიან ვალდებულებებს, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 5 წელს, არ გააჩნია ზრდადი საპროცენტო განაკვეთი, არ შეიცავს ისეთ პირობებს, რომელმაც შეიძლება დაასტიმულიროს ინვესტორის უფლება დააჩქაროს მომავალი გადახდები (კუპონი ან ძირი თანხა), გარდა გაკოტრებისა და ლიკვიდაციის შემთხვევებისა.

**მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნები და დამატებითი ბუფერები**

პილარ 1-ის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებთან ერთად ეროვნული ბანკის აწესებს დამატებით მოთხოვნებს კაპიტალის ბუფერებზე პილარ 1-სი და პილარ 2-ის ფარგლებში

პილარ 1 ის მიხედვით სებ-ის რეგულაციებით დაწესებულია კაპიტალის კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა, რომელიც შედგება სამი კომპონენტისგან:

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი არის სტანდარტული ბუფერი, რომელიც წარმოადგენს რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციების 2.5%-ს და მისი მიზანია გადაფაროს ისეთი სახის რისკები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სტრესის შემთხვევაში. COVID-19 გავლენისა და სტრესის გათვალისწინებით, ეროვნულმა ბანკმა 2020 წლის მაისიდან კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნა გააუქმა.
- კონტრციკლური ბუფერი - ის მაკროპრუდენციული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტია. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის დადგენისას გათვალისწინება ისეთი ფაქტორების ანალიზი, როგორებიცაა სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის შესაბამისი ინდიკატორები სხვა მაკროფინანსური გარემოს მახასიათებლები.
- სისტემურობის ბუფერი - ეროვნული ბანკის მიერ სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული კაპიტალის დამატებითი მოთხოვნა

მოთხოვნილი კაპიტალის 56 პროცენტი დაცული უნდა იყოს ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტებით, ხოლო 75 პროცენტი პირველადი კაპიტალის ელემენტებით. აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი იქნა განსაზღვრული ვადები. შესაბამისად კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერები 100 პროცენტით არის დაწესებული საზედამხედველო კაპიტალზე, 60 პროცენტით პირველად კაპიტალზე და 45 პროცენტით ძირითად პირველად კაპიტალზე.

o ძირითადი პირველადი კაპიტალი (CET 1)	45%
o პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	60%
o საზედამხედველო კაპიტალი	100%

**საზედამხედველო მოთხოვნები სს ბაზისბანკის მიმართ**

სს ბაზისბანკის საზედამხედველო მოთხოვნები მოიცავს პილარ 1-ის ფარგლებში დაწესებულ მინიმალურ საზედამხედველო მოთხოვნებს დამატებული კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი და კონტრციკლური ბუფერი, რომელიც ამჟამად ეროვნული ბანკის მიერ განისაზღვრა 0%-იანი ლიმიტით. რაც შეეხება სისტემურობის ბუფერებს, ბაზისბანკი ეროვნული ბანკის მიერ არ მიიჩნევა სისტემური მნიშვნელობის მქონე ბანკად, ამიტომ სისტემურობის კაპიტალის ბუფერის განაკვეთი “ბაზისბანკი“-სთვის განისაზღვრება 0%-ით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს ბაზისბანკის მოთხოვნები პილარ 2-ის მიხედვით განსაზღვრავს შემდეგ ბუფერებს:

- არაპეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი, რომელიც შედგება სახელობითი კონცენტრაციისა და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებისგან;
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი – საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით დაწესებული ბუფერი;
- წმინდა GRAPE ბუფერი – ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის რისკის კატეგორიების შეფასებისა და ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შედეგების განხილვის ფარგლებში დაწესებული ბუფერი;

პილარ 2-ით განსაზღვრული კაპიტალის ბუფერები ყველა ბანკისთვის ინდივიდუალურია და ბანკის რისკის პოზიციების კონცენტრაციაზეა დამოკიდებული.

სებ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ამჟამად არსებული მოთხოვნების თანახმად, ბანკები ვალდებული არიან შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი (კაპიტალის კოეფიციენტი) მოთხოვნილი მინიმალური ლიმიტით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაზისბანკის კაპიტალის კოეფიციენტი 16.13% შეადგენდა (2021: 18.00%). 2021-2022 წლებში დივიდენდების ან საინვესტიციო გადანდები, რომელიც გაცლენას მოახდენდა კაპიტალის კოეფიციენტებზე, არ მომხდარა.

რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია წარმოადგენს საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციის, საბაზრო რისკისა და საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციათა ჯამს.

**საკრედიტო რისკის ანალიზი**

არსებული რეგულაციის თანახმად, საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების დასათვლელად ბანკი იყენებს სტანდარტიზებულ მიდგომას.

საკრედიტო რისკის პოზიცია შედგება სამი კომპონენტისგან: საბალანსო ელემენტები, გარესაბალანსო ელემენტები და კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები.

**საბალანსო ელემენტებისთვის რისკის პოზიციის ღირებულება არის** სპეციალური რეზერვით და კაპიტალის კორექტირებით შემცირებული ძირითად თანხას დამატებული პროცენტი, ჯარიმა, დებიტორული დავალიანება და მხარის მიმართ ნებისმიერი სხვა სახის მოთხოვნები.

საკრედიტო რისკის პოზიციის გაანგარიშებაში სს ბაზისბანკი იყენებს შემდეგი ნებადართული მეთოდებს:

- საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების შეწონვა 35% იანი რისკის წონით
- საკრედიტო რისკის მიტიგაცია
- საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების მიერ დადგენილი რეიტინგების გამოყენება

**საკრედიტო მიტიგაციის გამოყენება** - ბანკმა გააკეთა განაცხადი „კრედიტის დაფინანსებული უზრუნველყოფის“ შემთხვევაში მოახდინოს რისკის პოზიციის მიტიგაცია, ანუ მისი შემცირება უზრუნველყოფის/გარანტიის ღირებულებისა და საკრედიტო შეფასების წონის გათვალისწინებით. ბანკს უფლება აქვს, მოვალის დეფოლტის შემთხვევაში, მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული აქტივების დროული რეალიზაცია და/ან დასაკუთრება. ამ მიზნებისათვის, ნებადართულია რისკის პოზიციის გაქვითვა მხოლოდ კლიენტის დეპოზიტზე განთავსებული სახსრებით. შესაბამისად, ბანკი კრედიტის დაფინანსებულ უზრუნველყოფად განიხილავს რისკის პოზიციას, რომელიც უზრუნველყოფილია ანაბრით. ანაბარი შეიძლება იყოს როგორც მსესხებელი კლიენტის ასევე მესამე პირის. უზრუნველყოფად მიღებული ანაბარი (ან მისი ის ნაწილი რომელიც გამოიყენება უზრუნველყოფად) თავისუფალი უნდა იყოს სხვა ვალდებულებებისაგან.

შენიშვნა: იხილეთ პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების დანართში PE1-BBS-QQ-20211231/ ცხრილი 12 \_CRM.

**საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების შეფასება** - ეროვნული ბანკის რეკომენდაციით შემდეგი სააგენტოების შეფასებები შეიძლება მიჩნეულ იქნას საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების საკრედიტო შეფასებად: Moody’s, Fitch, Standard&Poors. ამ სააგენტოების შეფასებები 6-ბიჯიან შკალას შეესაბამება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

	Fitch	Moody’s	S&P
1	AAA to AA-	Aaa to Aa3	AAA to AA-
2	A+ to A-	A1 to A3	A+ to A-
3	BBB+ to BBB-	Baa1 to Baa3	BBB+ to BBB-
4	BB+ to BB-	Ba1 to Ba3	BB+ to BB-
5	B+ to B-	B1 to B3	B+ to B-
6	CCC+ and lower	Caa1 and lower	CCC+ and lower

მოკლევადიანი შეფასებისთვის შეფასებები გაკეთდება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

	Fitch	Moody's	S&P
1	F1+, F1	P-1	A-1+, A-1
2	F2	P-2	A-2
3	F3	P-3	A-3
4	Lower than F3	NP	B-1, B-2, B-3, C

**შენიშვნა:** 2018 წლის ივლისის თვიდან ეროვნულმა ბანკმა შემოიღო ჰეჯირებული მსესხებლის განსაზღვრის დებულება. მსესხებლის რისკის პოზიცია შეიძლება მიეკუთვნოს ჰეჯირებულ ტიპს თუ მათი მოთხოვნების დაფარვა გათვალისწინებულია:

1. მრავალმხრივი განვითარების ბანკებისა და იმ ფინანსური ინსტიტუტების მიერ, რომელთა მიმართ არსებული რისკის პოზიციები იწონება 0%-ად.
2. სტანდარტიზებული სასაქონლო პროდუქტების წარმოება/ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლებით და პროდუქტები ივაჭრება (ფასი ყალიბდება) სესხის ვალუტაში.
3. საექსპორტო საქმიანობით მიღებული შემოსავლებით, პროდუქტის სარეალიზაციო ფასი დაფიქსირებული აქვთ სესხის ვალუტაში.
4. სასტუმროებიდან მიღებული შემოსავლებით, ამასთან სასტუმროს მომხმარებლების უმრავლესობას (>50%) წარმოადგენენ უცხო ქვეყნის ვიზიტორებს.
5. ელექტროენერგეტიკის წარმოების სექტორიდან მიღებული შემოსავლებით - რისკის პოზიციის 50%-ი.
6. იმ მსესხებლებით, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ მოცემულ ფინანსურ კოეფიციენტებს:
  1. Debt / EBITDA <=1.5
  2. EBIT / Interest Expenses >=5.0
  3. Equity / Assets >=75%

ასევე მნიშვნელოვანია, რომ კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციის და სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის და გამოყენების წესი ადგენს მინიმალურ მოთხოვნებს „სესხის სერვისების“ (PTI) და სესხის უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტებზე სტანდარტულად კლასიფიცირებული და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის. ცვლილებებით რისკის წონა ორმაგდება იმ არაუზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხებზე, რომლებიც არ აკმაყოფილებს სესხის მომსახურებასთან და უსაფრთხოების კოეფიციენტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. თუ კომერციული ბანკები არღვევენ განახლებული რეგულაციებით დადგენილ ლიმიტებს, მათ კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების მხრივ მკვეთრად გაზრდილი მარეგულირებელი ტვირთი ემუქრებათ. საერთაშორისო ფინანსურ სტანდარტებზე გადასვლის შემდეგ ეს მოთხოვნები გაუქმდება.

**გარესაბალანსო ელემენტების რისკის პოზიციის ღირებულება** არის სპეციალური რეზერვით შემცირებული მათი ღირებულება გამრავლებული კრედიტ-კონვერსიის ფაქტორზე.

**შენიშვნა:** იხილეთ პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების დანართი PE1-BBS-QQ-20211231/ ცხრილი 8. LI2

**კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები** - კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი არის ტრანზაქციის განხორციელებამდე კონტრაგენტის დეფოლტის რისკი. ამ მიზნებისთვის გაითვალისწინება კონტრაგენტთან დაკავშირებული მხოლოდ ის რისკები, რომელსაც მოიცავს საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის წარმოებული ინსტრუმენტები (ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ანალოგიური ხელშეკრულებებით წარმომოხილი გარესაბალანსო ვალდებულებები). თუ საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის წარმოებული ინსტრუმენტების ხელშეკრულების ვადა არ აღემატება 14 კალენდარულ დღეს, იგი არ გაითვალისწინება რისკის მიხედვით შეწონვის მიზნებისათვის.

**შენიშვნა:** იხილეთ პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების დანართი PE1-BBS-QQ-20211231/ ცხრილი 15-CCR

**საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები** - პილარ 1-ის ფარგლებში საბაზრო რისკში ჩაითვლება მხოლოდ სავალუტო რისკი. სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული რისკის

## Basisbank Pillar 3 Annual Report / 2022

პოზიცია უდრის „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესით“ განსაზღვრულ კრებსით საერთო ღია სავალუტო პოზიციას.

სავალუტო რისკი წარმოიქმნება ღია და არასათანადოდ ჰეჯირებულ პოზიციებზე კონკრეტულ ვალუტაში გაცვლითი კურსების მოულოდნელი რყევის შედეგად (რაც იწვევს ბაზრის მონაწილის შესაძლო შიდა ან ანგარიშგების ვალუტის ზარალს).

სავალუტო პოზიციების მართვა ხდება ბანკის მენეჯმენტის სავალუტო პოლიტიკის შესაბამისად. ვალუტის მართვის პოლიტიკა მოიცავს ყოველდღიური პოზიციების ლიმიტს და ერთობლივი ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტს, რომელიც შეადგენს საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს, რომელიც უფრო მკაცრია, ვიდრე ვიდრე სებ-ის მიერ დაშვებული ლიმიტი (20%-ი ლიმიტი ღია პოზიციისათვის).

**საოპერაციო რისკის ანალიზი** - პილარ 1-ის ფარგლებში კაპიტალის მოთხოვნა გამოიანგარიშება ძირითადი ინდიკატორის მეთოდის მიდგომის მეშვეობით. ძირითადი ინდიკატორის მეთოდით საოპერაციო რისკის კაპიტალის მოთხოვნა უნდა შეადგენდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი ინდიკატორის 15%-ს, რომელიც განისაზღვრება, როგორც წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამის საშუალო მაჩვენებელი ბოლო სამი წლის მანძილზე.

**შენიშვნა:** იხილეთ პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების დანართში PE1-BBS-QQ-20211231/ ცხრილი 23-OR2

საოპერაციო რისკების შეფასების და მართვის პროცესში, ბანკი გამოიყენებს სხვა ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებსაც, რაც უზრუნველყოფს საოპერაციო რისკების უფრო კომპლექსურ და ეფექტურ მართვას. ოპერაციული რისკის საქმიანობა რეგულირდება საოპერაციო რისკების მართვის მეთოდოლოგიის წესით.

გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები:

- **დანაკარგების და მიღებული ზარალების შესახებ მონაცემთა შეგროვება:** დაფიქსირებული დანაკარგების შეგროვება ბიზნეს-ერთეულების მონაწილეობით (დეცენტრალიზირებულ მონაცემთა შეგროვება);
- **თვითშეფასება:** შესაძლებელი დანაკარგების შეფასება ბიზნეს-ერთეულების მონაწილეობით; (მიღებული ზარალების სიხშირის და სიმძიმის შეფასება)
- **რისკის შემცირების სათანადო ზომების განსაზღვრა** - მიღებული დანაკარგებისა და თვით-შეფასებით მიღებული ანალიზის საფუძველზე.

ბაზისბანკის საოპერაციო რისკის მართვა არსებობს სამ დონეზე (ბიზნეს-ერთეული/დეპარტამენტის დონე, საოპერაციო რისკის მართვის დონე, აუდიტის დონე), რაც უზრუნველყოფს საოპერაციო რისკის მუდმივ კონტროლს.

საოპერაციო რისკების დეპარტამენტი ყველწლიურად ახდენს ძირითადი ინდიკატორის მეთოდით განსაზღვრული მოთხოვნილი კაპიტალის შეფასებას და მიღებული და შიდა შეფასების შედეგად მიღებული საპროგნოზო ზარალების გადაფარვის დონეს. თუ საოპერაციო რისკების მართვა თვლის, რომ BIA-მ სათანადოდ ვერ გადაფარა პოტენციური დანაკარგები, დამატებითი კაპიტალი გამოიყოფა საოპერაციო რისკების მართვის მოთხოვნის საფუძველზე.

**შენიშვნა:** ინფორმაცია საოპერაციო დანაკარგების მოცულობის შესახებ მოცემულია - პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების დანართში PE1-BBS-QQ-20211231/ ცხრილი 22\_OR1.

### სს ბაზისბანკის პირველადი და საზედამხედველო კაპიტალის პოზიციები:

კაპიტალის ადეკვატურობა ათასი ლარი	2022	2021
ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც აკმაყოფილებს ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	17,215	16,181
დამატებითი სახსრები (ნომინალს ზედა ღირებ.) ჩვეულებრივ აქციებზე, რომლებიც აკმაყოფილებს ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	102,555	76,413
სხვა რეზერვები	203,333	159,580

გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	53,210	43,753
<b>კორექტირებაამდე</b>	<b>376,314</b>	<b>295,927</b>
კორექტირებები	(22,446)	(20,925)
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი</b>	<b>353,868</b>	<b>275,002</b>
მეორადი კაპიტალი	82,878	31,537
<b>საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>436,747</b>	<b>306,539</b>
სულ რისკის მიხედვით შეწონილი პოზიცია	2,707,680	1,706,474
<b>პირველადი კაპიტალი</b>	<b>13,07%</b>	<b>16,12%</b>
<b>საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>16,13%</b>	<b>18,00%</b>
<b>პირველადი კაპიტალის მოთხოვნა</b>	<b>11,42%</b>	<b>11,30%</b>
<b>საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნა</b>	<b>14,99%</b>	<b>15,87%</b>

2022 წლის მონაცემებზე დაყრდნობით საზედამხედველო კომპონენტების კორექტირება ხდება შემდეგი ელემენტებით:

- აქტივების გადაფასების რეზერვით
- არამატერიალური აქტივის თანხით

ბანკს ინვესტიციები აქვს განხორციელებული სამ კომპანიაში რომელთა აღრიცხვა ხდება სრული კონსოლიდაციით.

1. სადაზღვევო კომპანია “BB დაზღვევა” ეს მნიშვნელოვანი ინვესტიცია კაპიტალში ექვემდებარე ლიმიტირებულ აღიარებას, ინვესტიციის ღირებულება არ აჭარბებს მნიშვნელოვანი ინვესტიციის 10%-იანი ზღვარს, ამიტომ არ ხდება ამ ელემენტით კაპიტალის შემცირება.
2. აქტივების მართვის კომპანია "ბაზის ესეტ მენეჯმენტი-ჰოლდინგი" კაპიტალში აღიარდება როგორც ძირითადი პირველადი კაპიტალის მაკორექტირებელი კომპონენტი.
3. სს “BB ლიზინგი” ეს ინვესტიცია კაპიტალში ექვემდებარე ლიმიტირებულ აღიარებას, ინვესტიციის ღირებულება არ აჭარბებს მნიშვნელოვანი ინვესტიციის 10%-იანი ზღვარს, ამიტომ არ ხდება ამ ელემენტით კაპიტალის შემცირება.

**შენიშვნა:** 2022 წლის მდგომარეობით საზედამხედველო მიზნებისთვის ბანკის შვილობილი საწარმოები არ კონსოლიდირდება ბანკის ფინანსურ ანგარიშებში, არამედ შეიწონება რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებში 250% რისკის წონით. ინფორმაცია საწარმოების კონსოლიდაციის შესახებ იხილეთ პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების დანართში PE1-BBS-QQ-20211231/ ცხრილი 5\_RWA.

**რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები**

ათასი ლარი	2022	2021
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საკრედიტო რისკისთვის	2,533,518	1,551,535
საბალანსო მუხლები	2,306,077	1,419,210
მათ შორის: თანხები დაქვითვის ზღვარს ქვემოთ ( 250% რისკის წონით)	42,500	42,500
გარეგანობის მუხლები	226,024	132,324
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	1,417	-
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საბაზრო რისკისთვის	5,464	31,742
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საოპერაციო რისკისთვის	168,698	123,197
<b>სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები</b>	<b>2,707,680</b>	<b>1,706,474</b>



**დამატებითი მოთხოვნები ბაზელი 3-ის მიხედვით**

**ლევარიჯის კოეფიციენტი** - 2018 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ რეკომენდაციებზე დაყრდნობით შემოიღო ლევარიჯის კოეფიციენტი, რომელიც კაპიტალის რისკებზე დაფუძნებული ადეკვატურობის დამატებითი მოთხოვნაა.

ლევარიჯის კოეფიციენტის გამოთვლის მიზნით, პირველადი კაპიტალი იყოფა მთლიანი რისკის პოზიციაზე და აღნიშნული გამოსახება პროცენტულად. მთლიანი რისკის პოზიცია წარმოადგენს: საბალანსო რისკის პოზიციის, წარმოებული ინსტრუმენტების, ფასიანი ქაღალდებით დაფინანსებული ტრანზაქციების და გარესაბალანსო ელემენტების ჯამს.

2019 წლის 26 სექტემბერს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული # 214/04 ბრძანების შესაბამისად ბანკის ლევარიჯი ყოველთვის უნდა აღემატებოდეს 5%-ს, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ბაზისბანკის“ აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 10.56%-ს (2021: 13.64%).

**შენიშვნა:** იხილეთ პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების დანართში PE1-BBS-QQ-20211231/ ცხრილი 15.1. LR

**ლიკვიდობის რისკი** - ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კაპიტალის სტანდარტების პარალელურად სებ-მა დანერგა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR – Liquidity Coverage Ratio), რომლის მიზანია, კომერციული ბანკი ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის საჭიროა, ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის დონე, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოღინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში. გარდა LCR-ისა, კომერციული ბანკების ლიკვიდობა რეგულირდება საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტით, რაც წარმოადგენს საანგარიშო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივების თანაფარდობას იმავე თვის საშუალო ვალდებულებებთან.

LCR კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნები უცხოურ ვალუტაზე 100% და ადგილობრივი ვალუტაზე 75% ხელს უწყობს მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივების შენარჩუნებას სტრესულ გარემოში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტს მაჩვენებელი 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (ათასი ლარი)	2022	2021
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები	674,912	437,436
ფულის წმინდა გადინება	543,261	316,315
<b>LCR (%)</b>	<b>124%</b>	<b>138%</b>

ეროვნულმა ბანკმა 2020 წლიდან შემოიღო გრძელვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი - წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR). აღნიშნული კოეფიციენტი ზღუდავს მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულებას და ასტაბილურებს დაფინანსების რისკს. NSFR განისაზღვრება როგორც ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების ფარდობა სტაბილურ დაფინანსების საჭიროებასთან და სავალდებულო დასაცავ მოთხოვნას მინიმუმ 100% წარმოადგენს, მისი დანერგვის შემდგომ, 2020 წლიდან, საშუალო ლიკვიდობის არსებული მოთხოვნა გაუქმდა.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება (ათასი ლარი)	2022	2021
ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება	1,987,353	1,167,939
სტაბილური დაფინანსების საჭიროება	1,636,364	958,574
<b>წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი %</b>	<b>121%</b>	<b>122%</b>

ბანკის შედეგების მნიშვნელოვანი მაჩვენებლები მოცემულია დანართში PE1-BBS-QQ-20211231 ცხრილი 1.



## ანაზღაურების პოლიტიკა

მარეგულირებლის მოთხოვნების შესაბამისად, 2022 წელს ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ შეიმუშავა ანაზღაურების პოლიტიკა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც არეგულირებს უმაღლესი მენეჯმენტის, სხვა მატერიალური რისკების ამღებთა, კონტროლის ფუნქციების მქონე პერსონალს და სხვა პერსონალის ანაზღაურებას.

ანაზღაურების პოლიტიკა აგებულია ისეთ პრინციპებზე, როგორცაა სამართლიანობა, თანაბარი ანაზღაურება თანაბარი სამუშაოს, თანამდებობის ფუნქციური დატვირთვის, პირის კომპეტენციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, დისკრიმინაციული ნიშნით დიფერენცირების დაუშვებლობა, თანამშრომლების მოტივაცია და შენარჩუნება, შვებულებისა და დასვენების დროის ანაზღაურება, სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები, ისევე როგორც ჯანსაღი კორპორატიული მმართველობისა და რისკის მართვის ქცევის ხელშეწყობა.

ანაზღაურების სისტემა მოიცავს როგორც ფიქსირებულ, ასევე შეიძლება მოიცავდეს ცვლად ნაწილს. ცვლადი ანაზღაურება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არ ეძლევა.

### ფიქსირებული ანაზღაურება მოიცავს:

ა) ფიქსირებული ხელფასი

ბ) ე.წ. მე-13 ხელფასი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ არის დისკრეციული გადახდა, მისი მოცულობა ფიქსირებულია, ბანკს არ აქვს უფლება შეაჩეროს მისი გადახდა და მისი გადახდა არ არის დამოკიდებული ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე ან პირის მიერ სამუშაოს შესრულებაზე.

გ) რაც შეეხება სხვა არაპირდაპირი, ფიქსირებული სახის კომპენსაციას და სარგებელს, თუ აღნიშნული დისკრეციული ანაზღაურება არ არის და მისი მოცულობა ფიქსირებულია, ეძლევა მსგავს სიტუაციაში მყოფ ყველა თანამშრომელს და არ არის დისკრიმინაციული, ბანკს არ აქვს უფლება შეაჩეროს მისი გადახდა. მისი გადახდა არ არის დამოკიდებული ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე ან პირის მუშაობის მაჩვენებლებზე. არაპირდაპირი კომპენსაცია შეიძლება მოიცავდეს სხვა არსებითად ფიქსირებულ ანაზღაურების მსგავს გადახდებს, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ): დამსაქმებლის მიერ ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის შენატანის დაფინანსება ფიქსირებული ანაზღაურების საფუძველზე, სხვადასხვა სახის დაზღვევა, მანქანის მომსახურება, ავადმყოფობის შვებულების კომპენსაცია, მშობიარობა, მივლინება, ტელეფონისა და საწვავის ხარჯები და სხვა მსგავსი ფორმები.

ფიქსირებული ანაზღაურება განისაზღვრება პირის პროფესიული გამოცდილებით და ორგანიზაციული პასუხისმგებლობით, რაც თავის მხრივ უნდა შეესაბამებოდეს მის თანამდებობას. ფიქსირებული ანაზღაურების ფულად ეკვივალენტში გამოხატული თანხა წინასწარ არის განსაზღვრული და უცვლელი და არ არის დამოკიდებული სამუშაოს შესრულების ინდიკატორებზე. ფიქსირებული ანაზღაურება უნდა შეადგენდეს მთლიანი ანაზღაურების ძირითად ნაწილს და უნდა იყოს დაბალანსებული ცვლადი ანაზღაურებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ისე, რომ ბანკს საშუალება მისცეს არ გასცეს/დააკორექტიროს ცვლადი ანაზღაურება. ფიქსირებული გადასახადის ფულად ეკვივალენტში გამოხატული თანხა წინასწარ უნდა განისაზღვროს და უნდა იყოს უცვლელი.

ცვლადი ანაზღაურება გულისხმობს:

ა) ბონუსი;

ბ) დამსაქმებლის მიერ ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის დაფინანსებას ცვლადი ანაზღაურების საფუძველზე;

გ) ბანკის მიერ მინიჭებულ სხვა ანაზღაურებას, რომელიც არ აკმაყოფილებს ფიქსირებული ანაზღაურების კრიტერიუმებს, ან კრიტერიუმები ბუნდოვანია, რაც ართულებს მისთვის ფიქსირებული ანაზღაურების კატეგორიის მინიჭებას.

წლიური ცვალეზადი ანაზღაურების არანაკლებ 40%-ის გადახდა მატერიალური რისკის ამღებთათვის (გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა) და სადაც წლიური ცვლადი ანაზღაურება აჭარბებს წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 100% და/ან 500,000 ლარს ან მის ექვივალენტს - არანაკლებ 60%-ის გადახდა უნდა გადავადდეს სამი წლით (გადავადების პრინციპი).

**ცვლადი ანაზღაურების კორექტირება**

ნებისმიერი მატერიალური რისკის ამღების ცვლადი ანაზღაურება შეიძლება დაექვემდებაროს კორექტირებას ეროვნული ბანკის შესაბამისი რეგულაციებისა და შიდა ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად, შემდეგი წინაპირობების არსებობისას:

ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები

- ა. ეკონომიკური კაპიტალი, ეკონომიკური მოგება, ამონაგები რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე;
- ბ. კანონმდებლობის დარღვევა, რისკების ლიმიტის დარღვევა, შიდა კონტროლის ფუნქციებით განსაზღვრული მახასიათებლების დარღვევა;

კორექტირება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცვლად ანაზღაურებაზე/მის ნაწილზე შემდეგი წინაპირობების შემთხვევაში:

- ა. ანაზღაურებას დაქვემდებარებული პირის მიერ ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბანკს;
- ბ. ანაზღაურებას დაქვემდებარებული პირი ვეღარ აკმაყოფილებს კომერციული ბანკების აღმინისტრატორების შესაბამისობის კრიტერიუმების შესახებ შესაბამისი წესით დადგენილ სტანდარტებს;
- გ. კომპენსაციას დაქვემდებარებული პირის მიერ უკანონო ქცევა ან მატერიალური გადაცდომა, მათ შორის ეთიკის კოდექსის ან სხვა შიდა წესების არსებითი დარღვევა;
- დ. ბანკის/სტრუქტურული ერთეულის ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება (მაგალითად, კონკრეტული ბიზნესის ინდიკატორები).
- ე. რისკების მართვის მნიშვნელოვანი შეცდომები/პრობლემები ბანკში ან იმ სტრუქტურულ ერთეულში, სადაც აღნიშნული პირი მუშაობს.
- ვ. ბანკის/სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური/საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების მნიშვნელოვანი ზრდა.
- გ. ანაზღაურების საგანია იმ პირის ქმედება, რომელსაც გარკვეული გავლენა მოახდინა ბანკზე ნორმატიული/საზედამხედველო სანქციის დაკისრებაზე.

საანგარიშო წლის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი თანამშრომლები, რომელთა ანაზღაურებამ 1 მილიონ ლარს გადააჭარბა.

**მენეჯმენტის ანაზღაურება**

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია სს “ბაზისბანკის” უმაღლესი მენეჯმენტისათვის დადგენილი ანაზღაურების პოლიტიკისა და საკომპენსაციო სისტემის შესახებ ინფორმაცია. ბანკის უმაღლეს მენეჯმენტს წარმოადგენენ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის წევრები.

დირექტორატის წევრების დასაქმების და ანაზღაურების პირობებს ადგენს სამეთვალყურეო საბჭო; ხოლო, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხებს განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრება.

**ღირექტორატის წევრების ანაზღაურების სისტემა** - მოიცავს როგორც ფიქსირებულ, ისე ცვლად ნაწილს.

საკომპენსაციო სისტემა და სტრუქტურა ასახულია ღირექტორატის წევრების ინდივიდუალურ კონტრაქტებში. ღირექტორატის წევრების ფიქსირებული ინდივიდუალური ანაზღაურების განხილვა ხდება ღირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის კონსულაციების გზით. ანაზღაურების ცვლადი ნაწილი რეგულირდება ღირექტორატის წევრებთან გაფორმებული კონტრაქტით, რომელიც საერთოა ყველა წევრისთვის და წლიური კომპენსაციის ოდენობა დამოკიდებულია ბანკის ფინანსურ შედეგებზე.

**ცვლადი ანაზღაურების გაანგარიშება** - ცვლადი ანაზღაურება გაიცემა ბონუსის სახით და წარმოადგენს ბანკის მიერ ღირექტორისათვის გადასაცემი დამატებითი გასამრჯელოს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის. 2013 წლის ივლისში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის საბონუსე სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ფულადი სახის კომპენსაციას, ასევე აქციებზე დაფუძნებულ განაცემებს.

ჯამური ბონუსის განსაზღვრა ხდება წინა საანგარიშგებო წლის ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე, რომელიც დადასტურებულია გარე აუდიტის მიერ (იგულისხმება მხოფლიოს ოთხი უმსხვილესი საერთაშორისო აუდიტორული კომპანია) გაცემული დასკვნით - გუნდის მიზნების შესრულება, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება მომგებიანობისა და ზრდის მაჩვენებლებით, რომლებიც დადგენილია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ამასთან, დაცული უნდა იყოს ნორმატიული კოეფიციენტები და ის შეთანხმებები, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი მენეჯმენტის საბონუსე სქემასთან, აღიარებულია საანგარიშო პერიოდში. იხილეთ ცხრილი 24\_Rem1 /27\_REM 4 პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების PE1-BBS-QQ-20211231 დანართში.

**კომპენსაცია წილობრივი ინსტრუმენტებით** - მიღებული საკომპენსაციო თანხის მინიმუმ 50%-ით (ორმოცდაათი პროცენტი) უნდა მოხდეს ბანკის აქციების შეძენა წინასწარ განსაზღვრული პირობებით. გადასაცემი აქციების საერთო რაოდენობა დამოკიდებულია აქციის ღირებულებაზე, შედეგების შეფასება ხდება წინა საანგარიშგებო წლის IFRS სტანდარტის შესაბამისად მომზადებულ აუდიტებულ ფინანსურ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.

მენეჯმენტის აქციები ექვემდებარება შეზღუდვას აქციების შეძენის დღიდან ორი წლის განმავლობაში ("ბლოკირების პერიოდი"). ბლოკირების პერიოდის გასვლის შემდგომ, ღირექტორების მფლობელობაში არსებულ აქციების ნახევარზე იხსნება ბლოკი. ღირექტორის საკუთრებაში არსებული ყველა აქცია შეიძლება სრულად გადაცემულ იქნას მფლობელის განკარგულებაში მხოლოდ საკონტრაქტო ვალდებულებების ამოწურვის შემდეგ.

აქციები გაიცემა მომსახურების პირობის დათქმით სქემის მონაწილის უფლება-მოვალეობების ვადის ამოწურვამდე. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილებამდე აქციებს გააჩნიათ მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება, მაგრამ არ გააჩნიათ ხმის მიცემის უფლება და არ ექვემდებარებიან გასხვისებას ან გადაცემას მესამე პირზე. ხსენებული პირობები ითვალისწინებს უწყვეტ დასაქმებას, ამ პერიოდის განმავლობაში არ დასრულდება სქემაში მონაწილეებისათვის აქციებზე სრული უფლების გადაცემა.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, გადაცემის შემდგომი ყველა შეზღუდვა გაუქმდა 2016 წლამდე გამოშვებულ აქციებზე. ამ თარიღის შემდეგ გამოშვებული აქციები ექვემდებარება მინიჭების შემდგომ შეზღუდვებს, 2019 წლის ივლისს (პირველი დაბლოკვის პერიოდის დასრულებისას) შეზღუდვები მოიხსნება საკუთრებაში არსებული აქციების 50%-ზე, 2022 წლის 1 ივლისს კი (მეორე დაბლოკვის პერიოდის დასრულება) მინიჭების შემდგომი შეზღუდვები სრულად ამოიწურება.

2017 წლის მარტში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის ბონუსების ახალი სქემა 2017-2021 წლებისთვის და ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრებს მომსახურების პირობების

## Basisbank Pillar 3 Annual Report / 2022

გათვალისწინებით ახალი აქციები გადასცა. გადაცემის თარიღად ჯგუფი 2017 წლის 27 მარტს მიიჩნევს. აქციებზე დაფუძნებული ახალი სქემის მიხედვით, მენეჯმენტის აქციებზე ვრცელდება მსგავსი შეზღუდვები, ანუ დირექტორები აქციებს ვერ გაყიდიან შეძენიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში („დაბლოკვის პერიოდი“). დაბლოკვის პერიოდის შემდეგ დირექტორების საკუთრებაში არსებული მენეჯმენტის აქციების ნახევარი შეიძლება გაიყიდოს. დირექტორების საკუთრებაში არსებული მენეჯმენტის ყველა აქცია შეიძლება სხვას გადაეცეს მხოლოდ დირექტორების გადადგომის შემდეგ.

პილარ 3-ის წლიური ანგარიშის ცხრილი 24\_Rem1 აჩვენებს დირექტორთა ანაზღაურებას წილების მიხედვით (იხ. დანართი PE1-BBS-QQ-20221231) სვეტის მე-3 წლიური ანგარიშის. განხილული ანაზღაურების სქემა ბუღალტრული აღრიცხვის ადგილობრივ სტანდარტებს ეფუძნება.

## მატერიალური რისკის ამღები სხვა პირების ანაზღაურება

### მატერიალური რისკის ამღები პირები (MRT)

იმ პირების გამოსავლენად, რომელთაც ბანკის რისკის პროფილზე არსებითი შედეგი აქვს, ბანკმა სებ-ის შესაბამისი წესების და რეკომენდაციების თანახმად შეიმუშავა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმები. შედეგად, მატერიალური რისკის ამღებ პირებად გამოვლინდნენ შემდეგი პირები:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრები
- დირექტორთა საბჭოს წევრები
- თანამშრომლები, რომელთა საქმიანობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბანკის რისკის პროფილზე. მატერიალური რისკის ამღებ პირებად გამოვლინდა 13 პოზიცია (ამაში არ შედის ზემოთ ჩამოთვლილი უმაღლესი მენეჯმენტის წევრები).

მატერიალური რისკის ამღებ თანამშრომელთა ანაზღაურება განისაზღვრება სებ-ის კორპორაციული მმართველობის კოდექსით და ანაზღაურების პოლიტიკის შიდა დოკუმენტით. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან) მატერიალური რისკის ამღები პირების ანაზღაურება ექვემდებარება ზემოთ აღწერილ გადავადების პრინციპს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წლიური ცვლადი ანაზღაურება არ არის არსებითი, ანუ როცა წლიური ცვლადი ანაზღაურება არ აღემატება წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 20%-ს.

## კონტროლის ფუნქციების ანაზღაურება

კონტროლის ფუნქციები არის ფუნქციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შემოწმებაზე, ობიექტურ შეფასებაზე და შესაბამისი მიმართულებით ანგარიშის წარდგენაზე. ეს ფუნქციებია რისკების მართვა, კომპლაენსი და შიდა აუდიტის ფუნქცია.

კონტროლის ფუნქციების მქონე პერსონალის ანაზღაურება, კერძოდ, შიდა აუდიტის, რისკების მართვის და კომპლაენსის, არ ემუქრება თანამშრომლების დამოუკიდებლობას. კონტროლის ფუნქციების თანამშრომელთა ანაზღაურება არ არის დამოკიდებული ამ ფუნქციების აუდიტის ან მონიტორინგის ქვემდებარე ბიზნეს-საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.

